# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



სამშაბათი, 5 აგვისტო, 2008 წელი.

№ 143 (6001)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## სიმართლე ე. წ. გაერთიანებული ოპოზიციის შესახებ, რომელიც ხალხმა უნდა იცოდეს



გაერთიანებული ოპოზიცია თავს უფლებას აძლევს, გამოვიდეს და მთელი ქართველი ხალხის სახელით ილაპარაკოს, რაც სრული სიცრუეა: სადღეისოდ მას მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი უჭერს მხარს

3-6

⊙ გვეხმაურებიან

## ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმს ქველმოქმედნი გამოუჩნდნენ



**ამ დღეებში**, 1 აგვისტოს, ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა რაფიელ ჩიქოვანის წერილი „გვრცხვენოდეს, ლეჩხუმელებო!“, რომელიც ეხებოდა გამოჩენილი ქართველი პოეტის ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმის სავალალო მდგომარეობას.

გუშინ რედაქციას დაუკავშირდა „ლიბო ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე იოსებ კირცხალია, რომელმაც გვაცნობა, რომ მზად არის, მონაწილეობა მიიღოს პოეტის დაზიანებული სახლის აღდგენაში. ცაგერის რაიონის სოფელ ბარდნალისა და პოეტის სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ცნობილ ბიზნესმენსა და ქველმოქმედს იოსებ კირცხალიას თბილისში, გენერალ მაზნიაშვილის ქუჩა № 4 ა, ტელეფონი — 832 91-19-89, ფაქსი — 832 95-61-84.

## სეპარატისტებს მშვიდობა არ სურთ!

2



## „მამამ“ წყალი გაგვიყიდა

5-6

ვინ გახდა საქართველოს წყლის რეალური მეპატრონე – შვეიცარიული „მულტიფლექსი“ თუ რუსული „რაო-ეესი“?



## რუსეთი გვაფრთხილებს, რომ სამხრეთ კავკასიაში ომია მოსალოდნელი

8



DER STANDARD

## დაუსჯელობის განცდით ნაკალისებული ხელისუფლების თავხედობა

2

◎ კონფლიქტის ზონა

# სეპარატისტებს მშვიდობა არ სურთ!



**განსაცდელშია ჩავარდნილი ზნაურის რაიონის, პატარა და დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლები. ცხინვალელმა მოთარეშეებმა აიშვეს და რაგინდარა იარაღით ისვრიან ამ სოფლების მიმართულებით.**

ჯერ იყო და ქართველი პოლიციელების მანქანა ააფეთქეს. ხუთი დაჭრილი პოლიციელი, – ორი მათგანის მდგომარეობა მძიმეა, – გორის ჰოსპიტალშია გადაყვანილი. ეს აფეთქება წვერიახოს – ხეითი-ერედვის შემოვლითი გზის იმ მონაკვეთზე მოხდა, ერთი თვის წინათ დიმიტრი სანაკოევის მანქანა რომ ააფეთქეს. განსაკუთრებული სისასტიკით დაბომბეს სეპარატისტებმა ერედვი და ნიქოზი. დანგრეულია სახლები, დაჭრილია 9 მშვიდობიანი მცხოვრები, მათ შორის, ერთი პოლიციელი. თვითმხილველების თქმით, აფეთქებებს თავად ორი მშვიდობისმყოფელთა ბატალიონის მოთარეშეები ახორციელებენ. გუშინწინ ერთი აუფეთქებელი ჭურვი ერედვის სასაფლაოზეც აღმოაჩინეს.

ქართულმა მხარემ საპასუხო ცეცხლი გახსნა და აიძულა ბანდიტები უკან დაეხიათ. სეპარატისტების განცხადებით მოკლულია შვიდი და დაჭრილია 14 ადამიანი.

შაბათს კონფლიქტის ზონაში იმყოფებოდნენ სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი და შიდა ქართლის მხარის გუბერნატორი ვლადიმერ ვარძელაშვილი. სეპარატისტების „ბელადებმა“ ქართველ მინისტრთან შეხვედრაზე უარი განაცხადეს – უფრო სერიოზული საქმეებით ვართ დაკავებული, ვიდრე ეს ცეცხლის შეწყვეტის საკითხებიაო (!ძ.



აშკარაა, რომ სეპარატისტებს მშვიდობა არ სურთ. ქართული სოფლების აწიოკებით ერთობიან. ცხინვალის რეგიონში მიმდინარე ამბებს ენერგიულად ეხმაურება რუსული პრესა. რუსეთის ელექტრონული მედიის მთავარი ქოსატყუილა, ტელეკომპანია „როსია“ იუწყება, რომ ხალხი შიშით გარეთ ვერ გამოსულა (ამ დროს სეპარატისტები ერედვსა და ნიქოზში სასაფლაოებსაც კი აფეთქებენძ, ეს საცოდავები სარდაფებში აღამებენ და ათენებენო, ლოყებს იხოკავენ ტელეწამყვანები.

რეგიონში ამ დღეებში სიტუაციის მოულოდნელ გამწვავებასთან დაკავშირებით ექსპერტები იხსენებენ შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარის იური პოპოვის ცხინვალში მალულად ჩასვლას. რა დირექტივები ჩაუტანა მან კოკოითს, არავინ იცის, მაგრამ ის ტერორისტული საქმიანობა და ქართული სოფლების დაბომბვა, კოკოითის ბანდფორმირებებმა მეორე დღიდანვე რომ წამოიწყეს, შესაძლოა იმ დირექტივების „ცხოვრებაში განხორციელების“ ერთიანი გეგმის ნაწილი იყოს...

ვნახოთ!..

**გურამ ვაშაკიძე,**
„სრ“ საკ. კორ.

◎ პოზიცია

# დაუსჯელობის განცდით წახალისებული ხელისუფლების თავხედობა

**„ქართული აკადემიის“ განცხადება**

**მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალური ხელისუფლების თავხედობას, პოლიტიკურ უპასუხისმგებლობასა და ცინიზმს საზღვარი არა აქვს. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 5 იანვრის პრეზიდენტის და 21 მაისის პარლამენტის არჩევნების გაყალბების შემდეგ მათ დღისით, მზისით, პირდაპირ ქუჩებში გააჩაღეს ოპოზიციური პარტიების წევრებისა და მხარდამჭერების მიმართ სისხლიანი ანგარიშსწორება. ამგვარი სპეცოპერაციების შედეგად ხელისუფლებისთვის მიუღებელი არა ერთი და ორი პირი აღმოჩნდა საავადმყოფოებში. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ვერ მიაღწია მთავარ მიზანს – საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილ ნაწილში შიშის დათესვას, ხელი მიჰყო ოპოზიციურ პარტიებზე ზეწოლის სხვა ფორმების მოძებნასა და განხორციელებას. კერძოდ, იმ პარტიებს, რომლებმაც უარი განაცხადეს გაყალბებულ პარლამენტში შესვლაზე და ამით შთამბეჭდავი მორალურად გამარჯვება მოიპოვეს ყველაფრის მკადრებელ ნაციონალურ მოძრაობაზე, კურიოზული საბაბით შეუწყვიტეს დაფინანსება ბიუჯეტიდან და სხვ.**

**ამ ბოლო დროს დაუსჯელობის განცდით წახალისებულმა ნაციონალებმა ახალი ძალით გააჩაღეს შეტევა ოპოზიციურ პარტიებზე, განსაკუთრებით, ლეიბორისტებზე, და ამის მკაფიო გამოვლინებაა ის დევნაშევიწროება და დაპატიმრებები, რომლებიც უკანასკნელ დღეებში ნაცმოძრაობისათვის დამახასიათებელი სტილით განხორციელდა.**

**სავსებით აშკარაა, რომ ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც ქვეყანა ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს ეროვნული და სახელმწიფოებრივი კატასტროფისკენ, თანდათანობით ემსგავსება ტერორისტულ ორგანიზაციას, რომელსაც სურს, შიშსა და ძრწოლაში ჰყავდეს თავისი ოპონენტები და ამ გზით შეინარჩუნოს ფაქტობრივად ერთპარტიული დიქტატურა.**

**„ქართული აკადემია“ კატეგორიულად გმობს პოლიტიკურ ოპოზიციაზე ნაციონალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული ძალადობის მრავალრიცხოვან ფაქტებს, ამასთანავე, გამოთქვამს შეშფოთებას იმის გამო, რომ საქართველოს ყოველგვარ ზღვარსგადასული ხელისუფლების ამ ანტიდემოკრატიულ ქმედებებს ჯერჯერობით არ მოჰყოლია არც ქართველი საზოგადოებისა და არც საერთაშორისო ორგანიზაციების ადეკვატური რეაქცია.**

◎ SIC!

# კოკოითს საკუთარი ხალხი არ ენანება

**პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის შეფასებით, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ვითარების დაძაბვით რუსეთი საქართველოს ნატოში გაწევრების პროცესის შეჩერებას ცდილობს.**

– რაც ახლა სამხრეთ ოსეთში ხდება, მარტივი და გასაგებია იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება საქართველოსა და უკრაინის ნატოში ინტეგრირების პროცესის შეჩერებაა, კოკოითი კი რუსეთის დავალებას ასრულებს, – განაცხადა ცინცაძემ.

მისივე თქმით, კოკოითი მოსკოვის დავალებას ისე ასრულებს, რომ საკუთარი ხალხიც კი არ ენანება.



– რუსეთის მითითებით კოკოითი ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველოს ევროპაში არასტაბილური ქვეყნის იმიჯი შეექმნას და დეკემბერში შეუძლებელი გახდეს საქართველოსთვის მაპის მინიჭება, – განმარტა პოლიტოლოგმა.

მისივე აზრით, რუსეთმა უკვე ნაწილობრივ შესძლო საქართველოსთვის არასტაბილური ქვეყნის იმიჯის შექმნა, რაც, შეიძლება, ევროპული ქვეყნებისთვის საკმარისი აღმოჩნდეს საიმისოდ, რომ საქართველოსთვის მაპის მინიჭება ნაადრევად მიიჩნიონ.

**ინტერპრესნიუსი**

◎ პროტესტი

# „არჩილ ბენიძე სააკაშვილის პირადი პატიმარია“

**ლეიბორისტული პარტია რკინის ქალამნებით მთელ საქართველოს შემოივლის**

**ლეიბორისტული პარტია არც აგვისტოში აპირებს შესვენებას და პერმანენტულ აქციებს გეგმავს. ამჯერად, პარტიის მესვეურთა საზრუნავი ლეიბორისტული პარტიის გლდანის რაიონული ორგანიზაციის კოორდინატორი არჩილ ბენიძეა, რომელსაც ფულს გათეთრების ბრალდებით თბილისის საქალაქო სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ლეიბორისტული პარტიის აპელაციაც...** პარტია საპროტესტო აქციების გამართვას მთელს საქართველოში, ყველა რაიონში და თბილისის ყველა უბანში გეგმავს. პარტიის იდეოლოგიური მდივნის კახა ძაგანიას თქმით, ეს იმდენად ხელისუფლებაზე ზემოქმედებისთვის კი არა, საზოგადოების ინფორმაციისთვის არის გამიზნული. ყოველთვის საჭიროა ხალხის გამოფხიზლება და იმის შეხსენება, რომ არჩილ ბენიძე პოლიტპატიმარიაო.

„თავისუფლება პოლიტპატიმარ არჩილ ბენიძეს“, – ეს პლაკატები ლეიბორისტული პარტიის ლიდერებმა მეტრო „თავისუფლების მოედანთან“ გააკრეს.

პარტიის აღმასრულებელი მდივნის პაატა ჯიბლაძის განცხადებით, აქცია გამიზნულია ხელისუფლების მიერ პოლიტიკური პარტიების თუ უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ ტერორის შესაჩერებლად. მისი თქმით, არჩილ ბენიძე უდანაშაულოდ ზის სააკაშვილის ციხეში და იგი სააკაშვილის პირადი პატიმარია.

ამ ფაქტის შესახებ ლეიბორისტებმა უკვე შეატყობინეს საზღვარგარეთის ქვეყნების ლიდერებს, გაეროს, ევროსაბჭოს. უახლოეს ხანში, დაგეგმილია შალვა ნათელაშვილის უცხოეთში ვიზიტიც, სექტემბერში კი იგი შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს, საუბრის ერთ-ერთი პირველი საკითხი იქნება დღევანდელი დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა.

მეტროსთან შეჯგუფებულ ხალხს გავესაუბრეთ და ვთხოვეთ აქციის თაობაზე აზრის გამოხატვა.

– ასეთმა აქციებმა ფართო მასშტაბი უნდა შეიძინოს, თბილისის ყველა კორპუსთან საჭიროა პროტესტის გამოხატვა, რათა უდანაშაულო ადამიანები ციხეში არ მოხვდნენ, – გვითხრა ერთმა ქალბატონმა.

– ხელისუფლებას არჩილ ბენიძის დამნაშავეობის არანაირი მტკიცებულება არ აქვს, – საუბარში მეორე ქალბატონი ჩაერთო.

– ნამდვილი დამნაშავეები გარეთ დაიარებიან, ციხეები კი უდანაშაულო ხალხით აავსეს... განა შეიძლება, ახალგაზრდა, დაოჯახებული ადამიანი ასე ხელაღებით ციხეში გამოამწყვდიო?

– ვის გულისხმობთ ნამდვილ დამნაშავეებში?

– ხელისუფლებას. თვითონ გაათეთრეს ხან რუსეთიდან შემოგზავნილი, ხანაც სოროსის ფულები და ახლა ოპოზიციის წარმომადგენლებს აპატიმრებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ ხელისუფლებას ლეიბორისტების ეშინია, რადგან ყველაზე ძლიერი და სიმართლის პარტიაა, მიშას ყელში გაეჩხირა. აგერ, უკვე რამდენი წელიწადია ამ პარტიას ვერაფერი მოუხერხეს და ახლა ტერორით უნდათ მათი დაშინება... – გაცხარდა ქალბატონი.

**მეტრო „თავისუფლების მოედანთან“ დიდხანს კამათობდნენ თბილისელები. სექტემბერი არც ისე შორსაა. დაველოდოთ, მოახერხებს თუ არა რკინისქალამნიანი შალვა ნათელაშვილი კონდოლიზა რაისთან სიმართლის დადგენას.**

**ნატა ნიბლაძე**



## ყველას თავისი აზრი აქვს

***გაერთიანებული ოპოზიცია თავს უფლებას აძლევს, გამოვიდეს და მთელი ქართველი ხალხის სახელით ილაპარაკოს, რაც სრული სიცრუეა: სადღეისოდ მას მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი უჭერს მხარს. მან დიდი ხანია დაკარგა მის მიერ მოტყუებით ქუჩაში გამოყვანილ ადამიანთა მხარდაჭერა. მოსახლეობის დიდი ნაწილის ასეთი განდგომა ჯერ კიდევ ნოემბრის ცხელ დღეებში წარმოჩნდა, როცა მომიტინგეთა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო — თითქმის განახევრდა: მოტყუებულმა, მიტინგზე ძალით მიყვანილმა ხალხმა გააცნობიერა ამ ე. წ. ოპოზიციის სიცრუე და უპერსპექტივობა, მის „საგმირო საქმეთა“ უსამართლობა, რამაც აზრი დაუკარგა ასეთ მიტინგებს.***

# სიმართლე ე. წ. გაერთიანებული ოპოზიციის შესახებ, რომელიც ხალხმა უნდა იცოდეს

იმისათვის, რომ კარგად გავერკვეთ და მოსახლეობას ზუსტი ინფორმაცია მივაწოდოთ ამ ე. წ. ოპოზიციის და მისი ლიდერების სიცრუეებზე და სიყალბეებზე, რომლითაც მათ მოახერხეს ასეთი მრავალრიცხოვანი მიტინგის ორგანიზაცია ნოემბრის პირველ დღეებში, აუცილებელია ზუსტად გავერკვეთ მიტინგის მონაწილეთა მოთხოვნებსა და იმ მიზეზებში, რომლებმაც ისინი ქუჩაში გამოიყვანა.

ამ კრიტერიუმებით შეიძლება მიტინგის მონაწილეები რამდენიმე ჯგუფად დაიყოს.

მომიტინგეთა **პირველ ჯგუფს** მიეკუთვნებიან იმ დროს არსებული მძიმე სოციალური პირობებით უკმაყოფილო ადამიანები, რომლებიც ბრმად მიენდვნენ ოპოზიციის ლიდერთა ცრუ დაპირებებს, რითაც ეს ლიდერები მიტინგში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს კუთხეებში და, განსაკუთრებით, თბილისში დარბოდნენ. მათ მრავალი ათასი ადამიანის ჩამოყვანა მოახერხეს რეგიონებიდან თბილისში. აქ კი მათ უკვე ჰყავდათ ხელისუფლების დასამხობად შემართული ადამიანთა არც ისე მცირე ჯგუფი — „პროფესიონალი მომიტინგეები“. სწორედ ისინი წარმოადგენდნენ მეორე ჯგუფს, რომლის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ. რაც შეეხება ქუჩაში გამოსულ სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებს, ისინი მალე გაერკვნენ იმ სიცრუეში, და უკვე 5-6 ნოემბრისთვის მათმა უდიდესმა ნაწილმა დატოვა მიტინგი, რის გამოც ოპოზიციის ლიდერები იძულებული გახდნენ, დაეწყოთ ხვეწნა, თბილისელებო, არიქა, გამოდით მიტინგზეო. მაგრამ თბილისელთა მოტყუება არც ისე იოლი გამოდგა: მათ ზურგი შეაქციეს ოპოზიციას. ასე დარჩა ოპოზიცია „ზურგშიშველი“ 6-7 ნოემბრისთვის.

მომიტინგეთა მეორე **ძირითად ჯგუფს** შეადგენდნენ და დღესაც შეადგენენ ადამიანები, რომელთაც მძიმე დარტყმა მიაყენა ხელისუფლების მიერ კორუფციისა და კრიმინალთა წინააღმდეგ წამოწყებულმა ოპერაციებმა, ყველაზე დიდი დარტყმა კორუფციამ, ქურდულმა სამყარომ და სხვადასხვა ჯურის, კრიმინალებმა სწორედ თბილისში მიიღეს. სამსახურებიდან გაანთავისუფლეს, ციხეში აღმოჩნდნენ კორუმპირებული ადამიანები, კანონიერი ქურდები, სხვადასხვა სახის დამნაშავეები. სწორედ ასეთი ადამიანები და მათი ახლობლები ქმნიან „პროფესიონალ“ უკმაყოფილოთა ჯგუფს, რომლებიც მუდამ მზად არიან, გამოვიდნენ ქუჩაში და შეებრძოლონ ხელისუფლებას, რითაც სარგებლობენ ოპოზიციის ლიდერები, რაც, გასაგებს ხდის ხელისუფლების დამარცხებას ქ. თბილისში (65 პროცენტი ოპოზიციისთვის, 35 პროცენტი ხელისუფლებისთვის).



მოდით ცოტა მეტად დავკონკრეტდეთ. უნდა ითქვას, რომ თბილისში ასეთი გამარჯვების წყალობით ოპოზიციამ „ირწმუნა“ თავისი „უძლეველობა“ და მთელი ქართველი ხალხის სახელით დაიწყო ლაპარაკი, რაც შორს დგას სინამდვილისგან: ჯერ ერთი, მთელი თბილისი არ არის ოპოზიციის მომხრე და მეორეც, რეგიონების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ხელისუფლების მომხრე დარჩა და ეს აისახა კიდეც პრეზიდენტის არჩევნების შედეგებში. ოპოზიციის ლიდერები კი უსირცხვილოდ ამტკიცებენ, არჩევნები არალეგიტიმური იყო, ჩვენ რეგიონებშიც გავიმარჯვეთო. და ეს მაშინ, როცა მსოფლიო თანამეგობრობამ აღიარა, რომ არჩევნები საქართველოში სამართლიანი და ლეგიტიმური იყო და ამდენად მიხეილ სააკაშვილი კანონიერი პრეზიდენტია.

„ახლა კი ღმერთს ღვთისა და კეისარს კეისრისა: ვთქვათ ის უარყოფითიც, რაც ხელისუფლებას აქვს.

მომიტინგეთა **მესამე ჯგუფს** მიეკუთვნებოდნენ და დღესაც მიეკუთვნებიან ადამიანები, რომლებიც ხელისუფლების არასწორი, ბევრ შემთხვევაში დანაშაულებრივი, ე. წ. საკადრო პოლიტიკის შედეგად ბევრი დამსახურებული ადამიანი თითქმის ულუკმაპუროდ დაყარეს ქუჩაში.

მოდით, აქაც დავკონკრეტდეთ, განათლებისა და მეცნიერების სისტემაში რომ ცვლილებები იყო საჭირო, ამაზე არავინ დავობს. სადავოა, ასეთი რეფორმების მეთოდები, ხერხები, საშუალებები და გზები, ასეთმა ხისტმა, „სარეფორმო პოლიტიკამ“, ასეთმა განუკითხაობამ ბევრი ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანი გამოაგდო ქუჩაში. „დასჯილ“ პროფესორებს დაენიშნათ 92 ლარი აკადემიური სტიპენდია, ხოლო დოცენტებს — 69. ვთქვათ პირდაპირ: ამით სრული უსამართლობა განხორციელდა ასეთი კატეგორიის ადამიანთა მიმართ. აქვე ვიტყვი, რომ ასეთ უსამართლოდ დაზარალებულთ მივეკუთვნები მეც აფხაზეთიდან დევნილი კაცი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, რომელსაც 56 წლის მუშაობის საერთო სტაჟი მაქვს, აქედან 45 — პედაგოგიურ დაწესებულებებში. დამენიშნა 69 ლარი და ბასტა! აი, ასე დაგვიფასდა მე და ბევრ სხვას ამდენი წლის შრომა!

> ***განათლებისა და მეცნიერების სისტემაში რომ ცვლილებები იყო საჭირო, ამაზე არავინ დავობს. სადავოა, ასეთი რეფორმების მეთოდები, ხერხები, საშუალებები და გზები, ასეთმა ხისტმა, „სარეფორმო პოლიტიკამ“, ასეთმა განუკითხაობამ ბევრი ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანი გამოაგდო ქუჩაში***

ყოველივე ამის მიუხედავად, მოვლენებს საღად შევხედე და ვნახე, რომ ოპოზიციის მიერ ხელისუფლების წინააღმდეგ წამოწყებული ბრძოლა, უსამართლო, უთავბოლო ლანძღვა-გინება მიზნად ისახავდა (და ის ასეთად რჩება დღესაც) ხელისუფლებაში ნებისმიერი უკანონო ხერხებით უპასუხისმგებლო, საეჭვო წარსულის მქონე ადამიანთა მოყვანას, რომლებთათვის მთავარია არა საქართველოს მომავალი, ქართველი ხალხის ბედნიერება, ქართული საქმე, არამედ პირადი, ვიწრო ინტერესები, მაღალი თანამდებობები და საზოგადოებრივი მდგომარეობა, იმავდროულად, ოპოზიცია წინასწარ განზრახვით, შეგნებულად ჩქმალავს ყველაფერ იმ დადებითს, რაც ხელისუფლებამ გააკეთა. მე და ჩემს ბედში მყოფი ძალიან ბევრი ადამიანი, პირადი განაწყენების მიუხედავად, უყოყმანოდ დავდექით ხელისუფლების, და ამდენად, სამართლიანობის მხარეზე. მჯერა რომ სწორედ ასე მოიქცა ოპოზიციის მიერ მოტყუებული მრავალი ათასი ადამიანი, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ ოპოზიციის ლიდერთა მთელი საქმიანობა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს ეწინააღმდეგება (ამის შესახებ მე უკვე ვთქვი პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში).

დავუბრუნდეთ მიტინგის მონაწილეთა დაჯგუფებას მათი მიზნებისა და ინტერესების მიხედვით. **მეოთხე ჯგუფს** ქმნიან ასევე ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსული ის ადამიანები, რომლებთაც შეულახეს ყველა ადამიანისთვის წმინდა — საკუთრების უფლება: დაუნგრიეს სახლები, ავტოფარეხები, ლოჯიები, წაართვეს მიწის ნაკვეთები და ა. შ. და ა. შ. როგორც ჩანს, ხელისუფლებაში დაავიწყდათ, რომ „არ შეიძლება ადამიანებს წაერთვათ სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება“. თავისთავად ცხადია, ასეთი უფლების შელახვით განაწყენებული მრავალი ათასი ადამიანი ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა რიგს მიემატა.

**მეხუთე ჯგუფი.** მთელი ქართველი ხალხისათვის ყველაზე მტკივნეული და მიუღებელი იყო და დარჩა სამართალდამცავი ორგანოების მიერ ახალგაზრდების უმიზეზო, უმოწყალო ხოცვა. ისეთებისა როგორებიც იყვნენ ა. რობაქიძე, ს. გირგვლიანი, ი. ვაზაგაშვილი და სხვები და სხვები. მათი ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები სამართლიანად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას. ხელისუფლებამ ყოველივე ამაზე პასუხი უნდა აგოს.

**მეექვსე ჯგუფს** ქმნიან ის ადამიანები, რომლებიც უმოწყალოდ გამოყარეს ბაზრობებიდან და ულუკმაპუროდ დატოვეს ისინი და მათი ოჯახები. ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა (მე ეს საკითხი ბოლოსთვის სპეციალურად მოვიტოვე) იყო სამეცნიერო-შემოქმედებით და სხვა კატეგორიის ინტელიგენციის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები, რითაც ამ უკანასკნელთ მიაყენეს მძიმე შეურაცხყოფა და ამით განაწყვეს ხელიუფლების წინააღმდეგ. ჩვენ მხოლოდ ჩამოვთვლით მათ — მწერალთა კავშირი, კომპოზიტორთა კავშირი, ჟურნალ-გაზეთების რედაქციების პირდაპირ ქუჩაში გამოყრა, ტელეარხ „იმედის“ შევიწროება და „დალაშქვრა“... სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ აქ ჩამოთვლილი ორგანიზაციების, კავშირების, ტელევიზიების, ჟურნალ-გაზეთების რედაქციების შელახული ინტერესები დაუყოვნებლივ აღდგება, რაც უნდა მოხდეს ხელისუფლების მიერ მათ წინაშე ბოდიშის მოხდით და თავიანთ ძველ ადგილებში უპირობო დაბრუნებით.

მე, ჩემდათავად, აქ ჩამოთვლილი ჯგუფების წარმომადგენლებს ვთხოვ: პირად წყენას ნუ გადააყოლებენ საქართველოს, მის მომავალს, რამეთუ სახელმწიფოსათვის ასეთ ძნელბედობის ჟამს მათ არ ეკადრებათ პირადი წყენის საფუძველზე ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ზურგის შექცევა.

რაც შეეხება „გაერთიანებულ ოპოზიციას“, ნოემბრიდან დღემდე განვლილმა დრომ წარმოაჩინა, რომ ე. წ. გაერთიანებული ოპოზიცია ბლეფია და იქ ნავარაუდევი ცხრა პარტია, ანუ პარტიათა ნაკრები, სრულებითაც არ წარმოადგენს (მათი უმეტესობა მაინც) სტრუქტურულად ორგანიზებულ წარმონაქმნს, გაერთიანებას და ვერ გამოხატავს არამც თუ მთელი ქართველი ხალხის, არამედ მისი მცირედი ნაწილის ინტერესებსაც კი. ისიც სრულებით გასაგებია, რომ ამ ე. წ. ოპოზიციას გამოეყო, სავსებით სამართლიანად, ყველაზე ძლიერი — რესპუბლიკური პარტია, რომელიც მართლაც სარგებლობს ხალხის მხარდაჭერით. აქვე ორიოდე სიტყვა დანარჩენების შესახებ: მრეწველები ყოველთვის იყვნენ და დარჩნენ კონსტრუქციულ ზომიერ ოპოზიციონერად, რაც შეეხება გ. შერვაშიძეს, პ. დავითაიას მათ თანამებრძოლებს, მათი სალოცავი ხატი საქართველო და აფხაზეთია და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ნებისმიერ ძალას შეეკვრებიან.

საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში ბოლოჟამს მომხდარმა ცვლილებებმა, ბევრ საკითხში სიცხადე შეიტანა. კერძოდ დადასტურდა ჩვენი ვარაუდი: ეს ე. წ. გაერთიანებული ოპოზიცია ადამიანთა შემთხვევითი, ხელოვნური თავშეყრაა, მისი თავშეყრა დამთავრდა მათი ცალკეულ ოპოზიციურ ჯგუფებად დაშლით: მას როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავიდანვე გამოეყო მისი ყველაზე გონივრული, კონსტრუქციული ნაწილი — რესპუბლიკური პარტია. ასევე თავიდან ჩამოსცილდა მას (ოლონდ სხვა „საფუძვლებით“) ლეიბორისტული პარტია.

იხ. 6 გვ.

## ინფორმაცია

## კარასინი და ფრიდი ქართველებსა და ოსებზე საუბრობენ



**მოსკოვი იმედს იტოვებს, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გართულებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით სიტუაციის სტაბილიზების მიზნით, ვაშინგტონი შეძლებს საქართველოზე გავლენის მოხდენას.**

**ამის შესახებ იყო საუბარი რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გრიგორი კარასინსა და აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილეს დენიელ ფრიდს შორის გუშინ შემდგარი სატელეფონო საუბრის დროს.**

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით გრიგორი კარასინმა ფრიდთან საუბარში გამოთქვა შეშფოთება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის გამო, რომელსაც ქართული მხარე განხორციელებული პროვოკაციული ქმედებებით ხელს უწყობს.**



ჯი-ეიჩ-ენი

თვალსაზრისი

# სუამი და საქართველოში კონფლიქტების გადაჭრის პრობლემები



**პაატა ზაქარეიშვილი**

განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრის ხელმძღვანელი (თბილისი, საქართველო)

## ქართულ-ოსური კონფლიქტის დინამიკა

**უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ქართულ-ოსურ კონფლიქტში ყველაზე დინამიკური 2004 და 2006 წლები აღმოჩნდა. ამ დინამიკამ ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა საქართველოს პოლიტიკის მკვეთრი ცვლილება რუსეთის როლის გადაჭარბებულად შეფასებაში ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებაში. თავდაპირველად დინამიკის პროვოცირება მოახდინა ცხინვალის რეგიონში 2004 წლის ივნის-ივლისში შეიარაღებულმა ესკალაციამ.**

პოლიტიკიდან ედუარდ შევარდნაძის უმტკივნეულო და ეფექტიანი, შემდეგ კი აჭარის ავტონომიის ლიდერის ასლან აბაშიძის „გაბრძანების“ შემდეგ, საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში ადგილი ჰქონდა ეიფორიასა და ისეთ განწყობას, რომ ქვეყნის ახალი ხელისუფლების წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრა შეიძლება იოლად. ასეთი პოზიციით მიდგომას აპირებდნენ ქართულ-ოსური პრობლემის გადაწყვეტისადმიც. სამწუხაროდ, თბილისის მაშინდელმა შემტევმა და ოსი მოსახლეობის ინტერესების გაუთვალისწინებლობის პოლიტიკამ მიგვიყვანა შეიარაღებულ შეტაკებამდე, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი ორივე მხრიდან. შეჩერდა ყველა სოციალურ-ეკონომიკური პროექტი და მხარდაჭერა დასავლეთის ინსტიტუტების მხრიდან, რეგიონში მნიშვნელოვნად გაღრმავდა გათიშულობა ოს და ქართველ მოსახლეობას შორის. შედეგად თბილისმა მიიღო იმის მკვეთრად საწინააღმდეგო ნაყოფი, რასაც გეგმავდა.

ამ მოვლენების შემდეგ მოხდა სტრატეგიის გარკვეული გადასინჯვა. 2004 წლის სექტემბერში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე წარადგინა ქვეყნის ტერიტორიაზე კონფლიქტების თანამიმდევრული გადაჭრის გეგმა. 2005 წლის 26 იანვარს კი ის წარმატებით გამოვიდა საქართველოს მთავრობის ახალი „ინიციატივით სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებასთან დაკავშირებით“. იმავე წლის დეკემბერში ლუბლიანაში ეუთოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე გავრცელდა საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გეგმა. სამწუხაროდ, ეს საინტერესო და პერსპექტიული ინიციატივები არ შესრულდა. მოკლევადიანი შედეგების მოთხოვნამ გადაწონა გრძელვადიანი პერსპექტივები, და დღეს არც ერთი ეს წინადადება არ არის მოლაპარაკების დღის წესრიგში შეტანილი.

კიდევ ერთხელ მოხდა გადაფასება, და დღეს „მუშაობს“ სტრატეგიის სრულიად სხვა პროექტი, რომელიც ემყარება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ოსი მოსახლეობის გაყოფას. შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული მთავრობა“ დიმიტრი სანაკოევის მეთაურობით, რომელიც 1990-1992 წლებში იარაღით ხელში იბრძოდა საქართველოს წინააღმდეგ, 2006 წელს გადავიდა საქართველოს მხარეზე და 2007 წლის 1 აგვისტოდან არის სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ის უწევს სახელმწიფო ზედამხედველობას თვითმმართველობის ორგანოებს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში. დ.სანაკოევმა ეს უფლებამოსილება მიიღო საქართველოს მთავრობის 2007 წლის 27 ივლისის დადგენილების საფუძველზე.

თბილისი მოითხოვს აგრეთვე შეცვლას მოლაპარაკების ფორმატისა, რომელმაც თავი ამოწურა ან „არ მუშაობს“. 2006 წლის ზაფხულიდან პრაქტიკულად არ გამართულა შერეული საკონტროლო კომისიის არც ერთი სხდომა. საქართველოს მხარე აცხადებს, რომ აზრი არ აქვს იმ ფორმატებში მონაწილეობას, რის შესახებაც წინასწარ იცი, რომ იმათ შედეგები არ მოაქვთ და აუცილებლად მიაჩნია, რომ უნდა დაამყაროს კონტაქტები ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებასთან და სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციასთან, ესე იგი, დ. სანაკოევთან. 2008 წლის 29 თებერვალს კი სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი გამოვიდა ინიციატივით შეიცვალოს შერეული საკონტროლო კომისიის (საქართველოს, სამხრეთ ოსეთის, რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის მხარეებიძ ფორმატი. მისი სიტყვებით, შერეული საკონტროლო კომისიის ნაცვლად მოლაპარაკება უნდა წარმოებდეს ფორმულით 2 პლუს 2 პლუს 2, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან: საქართველოს მხარე და დიმიტრი სანაკოევის მთავრობა; რუსეთის მხარე და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობა; ეუთო და ევროკავშირი. 4 მარტს თ. იაკობაშვილმა განაცხადა, რომ თბილისს არ სურს მოლაპარაკების გაგრძელება სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოწესრიგებაზე შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში. საქართველოსაგან განსხვავებით რუსეთს განზრახული აქვს შეინარჩუნოს ამ კომისიის ფორმატი.

*რუსეთის პასპორტები აქვთ აფხაზეთის პრაქტიკულად ყველა მცხოვრებს, მისი პოლიტიკური ცხოვრება კი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კრემლზე. ქართველები დღევანდელი აფხაზეთის დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენენ, მიუხედავად ამისა, ქართული ენის გამოყენება და გავრცელება წინასწარგანზრახულად არის შეზღუდული*

## სიტუაცია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში

**აფხაზეთში კონფლიქტისათვის დამახასიათებელი არაა ის დინამიკა, რასაც ვხვდებოდით ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე. აფხაზეთი ეკონომიკურად არამდგრადი და სუსტად კონტროლირებადი ტერიტორიაა.** მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი ოფიციალურად აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, აფხაზეთი რუსეთის მიერ ეკონომიკურად „ჩაყლაპულია“. 2008 წლის 6 მარტს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთი ცალმხრივად გამოდის დსთ-ს 1996 წლის შეთანხმებიდან, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დამყარებას. ამ გადაწყვეტილებით მოსკოვი აფხაზეთს აქცევს კავკასიაში კიდევ ერთ დოტაციურ რეგიონად. რუსეთის პასპორტები აქვთ აფხაზეთის პრაქტიკულად ყველა მცხოვრებს, მისი პოლიტიკური ცხოვრება კი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კრემლზე. ქართველები დღევანდელი აფხაზეთის დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენენ, მიუხედავად ამისა, ქართული ენის გამოყენება და გავრცელება წინასწარგანზრახულად არის შეზღუდული. აფხაზეთში ფორმალურად არ არის ნებადართული ქართული სკოლების ფუნქციონირება, ისინი მუშაობენ ნახევრად ლეგალურად რუსული სკოლების ბაზაზე.



## მომავლის გასაღები

**მრავალმხრივ დოკუმენტებს შორის, რომლებიც შექმნილია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის კონტექსტში, განსაკუთრებული ადგილი უკავია „მომავლის გასაღებს“. ის შექმნა აფხაზეთის მხარემ და ითვალისწინებს სხვაგვარ მიდგომას იმისადმი, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს ან მოხდეს გაჭიანურებული კონფლიქტის ტრანსფორმაცია.** დოკუმენტში ბევრი სუსტი ადგილია და სურვილის შემთხვევაში მისი კრიტიკა ადვილია. თუმცა დოკუმენტში სრულიად მიუღებელ პოზიციებთან ერთად არის რამდენიმე ასპექტი, რომლებიც თამამად შეიძლება განხილულ იქნეს. დოკუმენტში თითქმის არ არის ნახსენები რუსეთის „დადებითი“ როლი კონფლიქტის გადაწყვეტაში (გარდა საქართველოს კონტრპროდუქტიული მოქმედებების აღიარებისა, რომელთა მიზანია რუსეთის ფედერაციის „გამოგდება“ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესიდანძ. მაგრამ რამდენჯერმე მითითებულია, რომ აფხაზეთს სურს დაიწყოს ინტეგრაცია შავიზღვისპირეთსა და ევროპულ სივრცეში. მეორე საინტერესო წინადადებაც — მხარეებს შორის ნდობის დონის გადაფასება მნიშვნელოვნად ამაღლდება, თუ აფხაზეთის საზოგადოება დაინახავს, რომ საქართველო (დემოკრატიული რეფორმების რეალიზაციასთან ერთადძ გაითვალისწინებს წარსულის შეცდომებს, რომ ახალი ხელმძღვანელობა მზად იქნება ბოდიში მოუხადონ აფხაზეთის ხალხს ასიმილაციის, ომისა და იზოლაციის სახელმწიფო პოლიტიკისათვის.

მოწესრიგების პროცესის ახალი ეტაპის წინადღეღ უნდა იქცეს აფხაზეთზე ეკონომიკური ზემოქმედების მეთოდებზე უარის თქმა, კერძოდ, ეკონომიკური და საინფორმაციო ბლოკადის რეჟიმის გაუქმება. საქართველოს უშუალოდ აკისრია პასუხისმგებლობა 1992-1993 წლების ომის გაჩაღებაში.

შემდეგი ნაბიჯია — პრაქტიკული საქმიანობა ნდობის ზომების განმტკიცებისათვის. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დღევანდელ ეტაპზე,როდესაც აფხაზური მხარის შიში საქართველოს ინტენსიურ მილიტარიზაციასთან დაკავშირებით საფუძვლიანია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ აუცილებელია ისეთი საიმედო ზომების მიღება, რომლებიც იძლევიან სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის გარანტიას. ასეთი ნაბიჯები მოითხოვს გადაუდებელ რეაგირებასა და გადაწყვეტას, ვინაიდან მილიტარიზაცია საბრძოლველად განწყობილ გარკვეულ ჯგუფებს ქვეყნის ხელმძღვანელობასა და საზოგადოებაში უბიძგებს ახალი ომისათვის. ასეთი განწყობა სულ უფრო მეტად ინერგება საქართველოს საზოგადოებრივ შეგნებაში, რაც აფხაზეთის საზოგადოებაში მზარდი უნდობლობისა და დაშორიშორების შედეგია.

## სუამის რესურსები კონფლიქტების გადაჭრაში

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სუამის მიერ გამოცხადებული ამოცანების გადაწყვეტისათვის ბევრი რამაა გასაკეთებელი, რათა საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესზე მოვახდინოთ რეალური და ეფექტიანი ზეგავლენა.** კიშინიოვის სამიტის შემდეგ სუამის ქვეყნებს გაუჩნდათ დასაბუთებული ამბიციები, რომლებსაც საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით შეუძლიათ იმოქმედონ კონფლიქტებზე. მას შემდეგ ამ კონტექსტში „სუამისეული“ დისკუსიის ფარგლებში ყველაზე ხშირად განიხილება საკითხი სამშვიდობო ბატალიონის საბოლოო ფორმირების შესახებ. 2007 წლის 18-19 ივნისს ბაქოში გაიმართა „სუამის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების“ ორგანიზაციის მორიგი სამიტი, რომელიც არ გახდა გამონაკლისი და ამ საკითხში შეიტანა გარკვეული სიცხადე. ბაქოს შეხვედრაზე „დადასტურდა აქტიური ერთობლივი მოქმედების გაგრძელების აუცილებლობა კონფლიქტების მოწესრიგებისათვის სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების საერთაშორისო აღიარების პრინციპების დაცვის საფუძველზე“.

(დასასრული იქნება)

◉ ეროვნული ვალუტა

# „მყარი“ ქუჩით

**ბოლო წლების განმავლობაში დოლარის დაუსრულებელი გამყარება, რისი „სიკეთეც“ უკვე მწარედ იწვნია საქართველოს მოსახლეობამ, მძიმე ტვირთად დააწვა აგრეთვე ეროვნულ ეკონომიკას და სამამულო წარმოების პროდუქციის ექსპორტის ზრდის ერთ-ერთ მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად გადაიქცა.**

ეკონომიკის ექსპერტების უმრავლესობის აზრით, ლარის გამყარების მთავარი მიზეზებია დაახლოებით ოთხი წლის წინათ ქვეყანაში საყოველთაო პრივატიზების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული დიდძალი თანხები და საქართველოში შემოსული კერძო გზავნილები უცხოური ვალუტით. მიუხედავად იმისა, რომ შარშანდელი ნოემბრის ცნობილი მოვლენების შედეგად საქართველოში ინვესტიციების ნაკადმა რამდენადმე მოიკლო, ამ დანაკლისის შევსებას ეროვნულმა ბანკმა მიჰყო ხელი, რომელმაც ვალუტის რეზერვების გაყიდვა დაიწყო, რომელიც ამ ოპერაციით, რომლის მიზანია ლარის მასის შემცირება, ცდილობს ინფლაციის ტემპის შემცირებას.

მრავალი სპეციალისტის (და არა მარტო მათიძ აზრით, ინფლაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვნად განმსაზღვრელი ფაქტორია მთავრობის ხშირად არა აუცილებელი, უფრო სწორად პიარზე გათვლილი ხარჯები — საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ეკონომიკის სამინისტროს მიერ ზარ-ზეიმით აჟიტირებული და სამარცხვინოდ ჩაფლავებული დასაქმების პროგრამა, პენსიებისა და სოციალური დახმარებების სრულიად უსუსური გაზრდა, რომელიც ლამის ცის მანანად მონათლეს.

ლარის უაზრო გამყარების შედეგი, პირველ ყოვლისა, ისედაც მწირი ეროვნული საექსპორტო პროდუქციის ფასების ზრდას იწვევს, რაც უცხოურ ბაზრებზე მის კონკურენტუნარიანობას საგრძნობლად ამცირებს. ეროვნული ვალუტის გაუმართლებელი გამყარების პირობებში უცხოური ინვესტორებისთვის არახელსაყრელი ხდება ასევე საქართველოში კაპიტალის დაბანდება, რადგან ვალუტების გაცვლისას ინვესტორი მნიშვნელოვნად ნაკლებ თანხებს მიიღებს. ამასთან, საგულისხმოა, რომ ლარის გამყარება ხელს უწყობს ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას — ამის მიზეზი ის არის, რომ იქმნება ვალუტის შედარებით იაფად შეძენის შესაძლებლობა. მეტად მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ ლარის გამყარება ვერაფერი ხელშემწყობი პირობაა ტურიზმის განვითარებისთვის, რომელზეც მთავრობა ესოდენ დიდ იმედს ამყარებს — გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ უცხოურ ტურისტებს გაცილებით ურჩევნიათ სხვა ქვეყნებში უფრო იაფად მოგზაურობა და დასვენება, მით უმეტეს, რომ სათანადო ინფრასტრუქტურა — გზები, სასტუმროები, მომსახურება და სხვ. ჩვენში, უმეტეს შემთხვევაში, საერთაშორისო სტანდარტებისგან საკმაოდ შორსაა.

გარდა ამისა, ლარის გამყარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ცხადია, ბოლო დროის მანძილზე დოლარის არნახული ვარდნაა, რასაც მთავრობის ლარის გამაგრება-გამყარებაზე აღებული გეზი ემატება. ორივე ეს მომენტი, როგორც აღვნიშნეთ, ნეგატიურად აისახება ეროვნულ ეკონომიკაზე. თუკი ბოლო თვეების ტენდენციას გავითვალისწინებთ, ახლო პერსპექტივაში კვლავაც ლარის გამყარების ტენდენცია უნდა გაგრძელდეს. ამის დასტურად შესაძლოა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ არაოფიციალური მონაცემებით, წლევანდელი ბიუჯეტი დოლართან მიმართებაში მთავრობას დაახლოებით 1,4 დონეზე აქვს აღებული.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ლარის გამყარების პირობებში პროდუქციის ექსპორტირება ფინანსურად წამგებიანი ხდება, ხოლო იმპორტირება — იმის გამო, რომ დოლარის ყიდვა გაცილებით ნაკლებ ფასშია შესაძლებელი, პირიქით — მომგებიანი. როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, შარშანდლამდე საქართველოს ექსპორტის მთავარი წილი მოდიოდა ფერადი და შავი ლითონების ჯართზე და ასე კვარტალიდან კვარტალამდე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. საექსპორტო საქონლის ნუსხის ზედა ნაწილში ცვლილებები 2007 წელს მოხდა, როცა პირველ პოზიციებზე გადავიდნენ გადამუშავებელი მრეწველობის პროდუქია და ფერადი ლითონების შენადნობები. ლარის გამყარება კი ექსპორტის ხელშემწყობი ფაქტორი არ არის. აქვე ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ გარემოებას — ჩვენში საწარმოების ნახევარზე მეტი ქვეყნის საზღვრებს გარედან შემოტანილ ნედლეულზე მუშაობს, ამდენად, იმპორტის გარკვეული წახალისება ამ ტიპის საწარმოების წარმატებით მუშაობას უწყობს ხელს და საერთაშორისო ბაზარზე საკმაოდ კონკურენტუნარიანს ხდის. აღსანიშნავია ისიც, რომ თავის დროზე, კერძოდ, 2000-იანი წლების დამდეგს, საქართველოს ექსპორტ-იმპორტის შეფარდება, შესაბამისად, 25/75-ზე იყო, წლების განმავლობაში ეს თანაფარდობა ექსპორტის სასარგებლოდ იცვლებოდა, თუმცა არა მნიშვნელოვნად.



განსაკუთრებით არახელსაყრელი პირობები ექმნებათ რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებს, მთლიანად მოსახლეობას, ვინაიდან მსხვილ ქალაქებთან, უმეტესად კი თბილისთან შედარებით, უმუშევრობის დონე იქ უფრო მაღალია, გაცილებით უფრო საგრძნობია სიღარიბე, რასაც ლარის გამყარება კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს.

ეს, ზოგადად, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების თვალსაზრისით, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შიდა ბაზრის ორ მესამედზე გაცილებით მეტი იმპორტულ საქონელს (სურსათი, ცხიმები, ბურღული, პირადი მოხმარების საგნები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და სხვძ უკავია, ლარის გამყარება მნიშვნელოვნად „ურტყამს“ საქართველოს ყველა მოქალაქეს, განსაკუთრებით კი შედარებით მწირბიუჯეტიან ოჯახებს. თანაც, მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ დოლარის კურსის გამყარებასთან ერთად ქვეყანაში სულ უფრო სწრაფი ტემპით მატულობს ინფლაცია, რომელსაც უფრო მტკივნეულად მოსახლეობის ის ნაწილი გრძნობს, ვინც საზღვარგარეთიდან რეგულარულად იღებს ფინანსურ დახმარებას ვალუტით.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ინფორმაცია

## „ღირსეული დასაწყისი“ — იმერეთში ყველაზე მეტი ბარათი

**პროექტ „ღირსეული დასაწყისის“ ფარგლებში, ბანკებიდან მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, პირველი აგვისტოსთვის 9 566 ბარათია განაღდებული.**

**როგორც სოციალური სუბსიდირების სააგენტოდან იტყობინებიან, ქვეყნის მასშტაბით 9 566 ბარათია გაცემული.**

**ამ პერიოდში ღირსეული დასაწყისის ბარათზე სააგენტოში 9 607 განაცხადი შევიდა, ბარათის მიღებაზე უარი 41 ოჯახს ეთქვა.**

**ყველაზე მეტი — 1 557 „ღირსეული დასაწყისის“ ბარათი იმერეთის რეგიონში, ხოლო ყველაზე ცოტა — შვიდი კოდორის ხეობაში გაიცა.**

**ვაუჩერების გადანაწილება რეგიონების მიხედვით ასე გამოიყურება: თბილისი — 1 209 ბარათი, აჭარა — 1 305, კახეთი — 1 054, შიდა ქართლი — 959, ქვემო ქართლი — 1 120, სამცხე-ჯავახეთი — 513, მცხეთა-მთაინეთი — 265, რაჭა — 197, გურია — 353, სამეგრელო — 1 027.**

**„ღირსეული დასაწყისის“ ბარათის მიღებაზე მოტივირებული უარის მიზეზი რამდენიმეა — თუკი ახალშობილი დაბადებულია 2007 წლის 21 დეკემბრამდე, ოჯახის სარეიტინგო ქულა აღემატება 100 000-ს, ოჯახი არ არის რეგისტრირებული მონაცემთა ერთიან ბაზაში.**

**„ღირსეული დასაწყისის“ ფარგლებში დახმარებას ის ოჯახები იღებენ, რომლებიც სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში არიან დარეგისტრირებული და ბავშვის დაბადების დროს 100 000-იანი სარეიტინგო ქულა აქვთ მინიჭებული.**

ინტერპრესნიუსი

◉ ანტიეკონომიკა

# „მამამ“ წყალი გაგვიყიდა



### ვინ გახდა საქართველოს წყლის რეალური მეპატრონე — შვეიცარიული „მულტიფლექსი“ თუ რუსული „რაო-ეესი“?

***ხელისუფლებამ, იგივე ერის „მამამ“, ქართველები კიდევ ერთი სარფიანი გაყიდვით გაგვაბედნიერა, ქვეყნის სხვა სიმდიდრეების „გაპრადალავება“ არ იკმარა და წყალიც ზედ მიაყოლა. ამის თაობაზე ჯერ კიდევ მაისში ვწერდით „საქართველოს რესპუბლიკაში“, მაგრამ როგორც შემდეგ აღმოჩნდა, „თბილისის წყლის“ ყიდვა-გაყიდვის ხანგრძლივ პროცესში ბევრი რამ შეიცვალა, უამრავი „წვრილმანი“ ნიუანსი დაზუსტდა, რამაც გვაიძულა ამ მეტად საჭირბოროტო თემას ხელმეორედ მივბრუნებოდით. აქვე არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ბატონ კახა ბენდუქიძის დამსახურება, რომელსაც მიწებთან, ტყეებთან და პორტებთან შედარებით წყლის გაყიდვა საგრძნობლად გაუჭირდა, მაგრამ აქ მას მიეხმარა საქართველოში დაგროვილი ჩარჩული მოღვაწეობის გამოცდილება და უცხოელ ინვესტორებს წყალიც როგორღაც შეატყუა.***

თანაც ვის შეატყუა, არ იკითხავთ? რუსებს (!ძ. სრულიად ლოგიკურია, ბენდუქიძემ პირველი მილიონები რუსეთში დააგროვა, ზედმიწევნით იცის იქაურ ბიზნესმენთა სუსტი მხარეები და იოლად ატყუებს. ასე შეაჩეჩა გულუბრყვილო რუს ინვესტორებს „თელასი“, სხვა ენერგეტიკული ობიექტები (ახლა მგონი რკინიგზის მიყიდვასაც უპირებსძ და რუსეთში აკრძალული „ბორჯომის“ სანაცვლოდ თბილისური მტკნარი წყლის გემოც გაასინჯა. თანაც მუქთად კი არა, როგორც ამბობენ, ჩვენ დიდ მეზობელს ქართული წყლის დაჭაშნიკება 100 მილიონამდე დოლარი დაუჯდა (!ძ.

პირდაპირ საოცარია, რუსები ჩვენს მიმართ მაინც და მაინც პოლიტიკაში იჩენენ უჯიათობას (პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამ უშნო პრინციპების გამო ლამის ჯვარს აცვანძ, თორემ ეკონომიკასა და ბიზნესში საკმაოდ დაბნეულები და ხელმოცარულნი არიან. საკმარისია ბენდუქიძემ შემთხვევით, თუნდაც გასართობად მტკვარზე ანკესი ისროლოს და უმალ წამოეგებიან!

კი მაგრამ, რა შუაში არიან რუსები? — იკითხავს გაკვირვებული მკითხველი, — „თბილისის წყლის“ ოფიციალური მესაკუთრე ხომ ამ ერთი კვირის წინათ შვეიცარიული კომპანია „მულტიფლექს სოლუშენსი“ გახდაო? ჰო, რა თქმა უნდა, ოფიციალურად ასეა, მაგრამ არ გაინტერესებთ, გაყიდული ქართული წყლის რეალური მფლობელი ვინ არის? საქმე არ გახლავთ, რომ კომპანია, რომელიც ჩვენ (უპირველესად ხელისუფლებასძ „მულტიფლექს სოლუშენსის“ სახელით გაგვეცნო, შვეიცარიაში თურმე საერთოდ დარეგისტრირებულიც არ არის.

იხ. 6 გვ.

**ანტიეკონომიკა**

# „მამამ“ წყალი გაგვიყიდა!



(მეხუთე გვერდიდან)

ეს ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში გაირკვა, თუმცა ამას მთავრობისთვის რა მნიშვნელობა აქვს – მთავარია, თავიდან მოიცილოს, გაყიდოს და მყიდველი ოფშორული ფირმა იქნება, რუსული თუ ყახაზური, ამას ქვეყნისთვის არავითარი ღირებულება არა აქვს. ამ უბრალო ჭეშმარიტებაში რატომღაც „ვერ გარკვეულა“ ეკონომიკური ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი, რომელიც აცხადებს, რომ „თბილისის წყლის“ რეალური მეპატრონე „მულტიფლექს სოლუშენსი“ კი არა, სინამდვილეში „თელასის“ მფლობელი „რაო-ეესი“ და ქართული მხარეა. რომელია კონკრეტულად ეს „ქართული მხარე“, არც ამას აქვს მაინც და მაინც არსებითი მნიშვნელობა, მთავარია, რომ ის შვეიცარიულ კომპანიასთან ერთად გამარჯვებულია, მორჩა და გათავდა!

რადგან ვიცით, რომ „თბილისის წყლის“ რეალური მფლობელი „რაო-ეესია“, ალბათ ურიგო არ იქნება, ზოგიერთ სხვა წვრილმან თუ მსხვილმან საკითხსაც გადავხედოთ. ამათგან უპირველესად ალბათ ის უნდა გავიხსენოთ, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმდინარე წლის 10 აპრილის განკარგულებით, შვეიცარიულ „მულტიფლექსს“ „თბილისის წყალთან“ ერთად სამართავად „რუსთავწყალკანალი“, „საქწყალკანალი“ და „მცხეთა-კანალიც“ გადასცა, თანაც ისე, რომ თავდაპირველად განსაზღვრული მისაყიდი ფასი არ შეცვლილა. აბა როგორ, თუ ყიდი, ბარაქიანად უნდა გაყიდო, რომ სამომავლოდ შთამომავლობასთან პირნათელი იყო (!ძ.

ეროვნულ სიმდიდრეთა გაყიდვის დარგში ქართველ ხელისუფალთა გულუხვობა მთელ დუნიაზეა ცნობილი, მაგრამ ამჯერად, ვფიქრობ, ნამეტანი მოუვიდათ. წყლის 100-პროცენტიანი გაყიდვა, როგორც წესი, არსად არ ხდება (გამონაკლისია ლონდონი, რომლის წყალმომარაგების სისტემა გაიყიდა და ინგლისის დედაქალაქს სერიოზული პრობლემები შეუქმნაძ, მაგრამ ჩვენებურ ჩარჩებს იმაზე გაცილებით მეტი ძალა აღმოაჩნდათ, ვიდრე მსოფლიო პრაქტიკითაა რეკომენდებული. თუმცა ამ საქმის „წარმატებას“ მარტო მადას ვერ დავაბრალებთ. ამას უნდა დავუმატოთ ჩვენი პრეზიდენტის საყოველთაოდ ცნობილი ხელგაშლილობაც, რომელმაც „მოტყუებულ“ ინვესტორს მაღარიჩად მომავალი წლიდან ტარიფის 2 თეთრამდე გაზრდის უფლებაც მისცა, თუმცა, კონკურსის პირობებით, „მულტიფლექსს“ 2008-2009 წლებში ტარიფი უცვლელი უნდა დაეტოვებინა.

რა თქმა უნდა, შვეიცარიული კომპანია ტარიფის გაზრდას თავისითაც მოახერხებდა (სარწმუნო წყაროს ცნობით, ის ამას აპირებს კიდეც – 2010 წლიდან წყლის ღირებულება ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარი იქნებაძ, ისევე როგორც ეს თავის დროზე მოახერხეს დენისა და გაზის უცხოურმა საინვესტიციო კომპანიებმა, მაგრამ რა სჯობს იმას, თუ ქვეყნის პრეზიდენტი ამის უფლებას საქართველოს წყლის ახალ მეპატრონეს ავანსადვე სჩუქნის? ამაში ცუდი არაფერია, ხელისუფლება წარმატებული არჩევნების შემდეგ ტარიფების გასაზრდელად მაინც ემზადება და თუ პრეზიდენტი საკუთარ ხალხსაც შეამზადებს მორიგი გატყავებისთვის, ამით არაფერი დაშავდება. პირიქით, მთავრობის მიერ შემუშავებული სიღარიბის დასაძლევი პროგრამის რეალიზაციის გზაზე ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

სხვა საქმეა იმის გარკვევა, ჰქონდა თუ არა პრეზიდენტს ტარიფის დადგენის უფლება. არაო, ამბობენ „ლეიბორისტები“ (და არა მარტო „ლეიბორისტები“ძ, ტარიფის განსაზღვრა სემეკის საქმეა, მაგრამ მიხეილ სააკაშვილი, ესაქმება თუ არ ესაქმება, ყველგანა ჰყოფს ცხვირს და რაღა წყლის შხეფებს მოერიდებოდაო (თანაც ამ ცხელ ზაფხულშიძ. ასე რომ, პრეზიდენტის სულსწრაფობა არავითარ გაუგებრობად არ ჩაითვლება, არც ის შეიძლება მივიჩნიოთ გაუგებრობად, რომ „მულტიფლექსს“ წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციოდ 350 მილიონი დოლარის გაღება დაეკისრა, მის მაგივრად კი 60 მილიონი ქართულმა სახელმწიფომ დახარჯა. თქვე მამაცხონებულებო, თუ სახელმწიფო საკუთარ „წყალჯომარდობას“ ამდენ თანხას მიახარჯავდა, უფრო სწორად, მიაფუცქვნიდა, მაშინ დარგს, თანაც სტრატეგიულს, რატომღა ჰყიდდა?

მახსოვს, ამ ორიოდე წლის წინათ, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრებმა, სასმელი წყლის ექსპორტთან დაკავშირებით, როგორი გონივრული პროგრამა შეიმუშავეს, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების თავკაცებმა სიახლოვესაც არ გაიკარეს. არადა, ფაქტია, წყალი დღეს ნავთობთან ერთად მთელ მსოფლიოში დეფიციტური პროდუქტია. ამჟამად მსოფლიოს 30 ქვეყანას მოსახლეობისთვის საჭირო სასმელი წყლის ერთი მესამედი საზღვარგარეთიდან შეაქვს. არ გაგიკვირდეთ, საქართველოსაც დაუდგეს ის დრო, როცა ჩვენიდან წაღებულ იაფადღირებულ კამკამა წყაროს წყალს საზღვარგარეთ ოქროს ფასად გაყიდიან, ხოლო ჩვენ იქიდან შემოტანილი დურბალა წყლით გაგვჭყირპავენ.

**ეს, რა თქმა უნდა, ერთსა და ორ წელიწადში არ მოხდება. მანამდე კი ჩვენი ხელისუფლება, იმედია, კიდევ ერთხელ ჩაუფიქრდება თავის წარმატებულ საამქვეყნო საქმიანობას და წყალთან ერთად ჰაერის გაყიდვითაც დაინტერესდება.**

**ოთარ ხუციშვილი**

**ყველას თავისი აზრი აქვს**

# სიმართლე ე. წ. გაერთიანებული ოპოზიციის შესახებ, რომელიც ხალხმა უნდა იცოდეს

(მესამე გვერდიდან)

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ დღეს გაერთიანებულ ოპოზიციაში ასახელებენ ათამდე პარტიას, რომელთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანი მხოლოდ „ახალი მემარჯვენეებია“. დანარჩენი პარტიები კი, „ხალხის პარტიის“ ჩათვლით, ესაა ოთხმოცდაათ-ასკაციანი პარტიები, ლიდერთა ახლო ნათესავებიანად. სამაგიეროდ სახელი ხომ რჩება – გაერთიანებული ოპოზიცია ცხრა პარტიით! ამაზე ბრწყინვალედ თქვა რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა დავით უსუფაშვილმა, მისი აზრით, არსებობდა „უარესი ხელისუფლების მიღების“ პერსპექტივა, რადგან ხელისუფლებისაკენ მიილტვოდა ოპოზიციის გარკვეული ნაწილი თავისი რეაქციული შეხედულებებით, რაც უბედურებას მოუტანდა საქართველოს.

ახლა ვნახოთ ვინ ჰყავდა მხედველობაში ბატონ უსუფაშვილს. ჩვენ გვგონია, რომ ასეთ რეაქციულ პოლიტიკოსებად უსუფაშვილის მიერ მოიაზრებიან ის რადიკალები, რომლებიც მზად იყვნენ თავიანთი მიზნების მისაღწევად სახელმწიფო გადატრიალება მოეწყოთ, თუ 21 მაისს პარლამენტის არჩევნებში ვერ გაიმარჯვებდნენ, მათი აზრით, თუ არჩევნებში ოპოზიცია ვერ გაიმარჯვებდა, ის გაყალბებულად ჩაითვლებოდა, ამიტომ სახალხო აჯანყება უნდა მომხდარიყო.

ოპოზიციის აზრი, ხალხმა აუცილებლად ჩვენ უნდა ავირჩიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახალხო აჯანყებას მოვაწყობთო, არავითარ ადამიანურ ლოგიკაში არ ჯდება. ხალხმა არ გამოუცხადა ოპოზიციას ასეთი ნდობა. ამაზე რადიკალი ოპოზიციონერები ბობოქრობენ, ხალხის სურვილი რა შუაშია, მაინც ჩვენ უნდა ავერჩიეთო. რა ჰქვია რადიკალური ოპოზიციის ასეთ ახირებას? საზღვარგარეთ ასეთ „რადიკალებს“ ქორებს უწოდებენ. სწორედ ასეთ რეაქციონერ რადიკალებად ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მოიაზრებიან ზ. ძიძიგური, კ. კუკავა, გ. თორთლაძე, კ. გუნცაძე და სხვები.

რაც შეეხება ლეიბორისტულ პარტიას, იგი იყო და დარჩა ყველაზე ჯიუტ პარტიად, რომელიც წამდაუწუმ გაიძახის მე ხალხის პარტია ვარ, მის ინტერესებს ვიცავ და ყველაზე წარმომადგენლობით მე უნდა ავერჩიეთო. ნათელაშვილმა 12 აპრილს განაცხადა, ლეიბორისტული პარტია საქართველოს პარლამენტში 1999 წლიდან არ მოხვდა იმიტომ, რომ მას ამაში ხელს უშლიდა აშშ ხელისუფლება და მისი პრეზიდენტიო... ამას უნდა დავუმატოთ ნ. კირთაძის მიერ 2008 წლის 5 იანვარს გაცხადებული „უტყუარი ინფორმაციები“, რომ მზადდება შ. ნათელაშვილის ლიკვიდაციის ოპერაცია სახელწოდებით „ბხუტო“, რომ, შ. ნათელაშვილი შეუნაცვლებადია ქართულ პოლიტიკაში და ის აუცილებლად პრეზიდენტი უნდა გახდეს...

ერთიც: ქვეყნის გარეთ საქართველოსთვის, ქართველი ხალხისთვის ლანძღვა-გინებისა და მისთვის სახელის გატეხვის ფუნქცია ოპოზიციაში, რომელიც ჩანს ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა აიღო თავის თავზე, რომელიც დაუნდობლად თათხავს არა მარტო საქართველოს ხელისფულებას, არამედ, სურს თუ არა მას ეს, მთელ ქართველ ხალხს, რათა მას ნდობა და ავტორიტეტი დაუკარგოს მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობაში. ეს თითქოს გასაგებიცაა. მისთვის ხომ ქართველები „ქაჯები მუტანტებია“ (მისივე ტერმინოლოგიაადძ, მათ არ შეუძლიათ გაერკვნენ მიმდინარე პროცესებში, გაარჩიონ ავი კარგისგან, თუ მას სალომე ზურაბიშვილი არ დაეხმარა! თვითონ განსაჯეთ, სალომე ზურაბიშვილს მიაჩნია, რომ იქ, სადაც მისი ხელი არ ურევია, ყველაფერი ცუდია: მიუღებელია კოდორის ხეობაში საქართველოს იურისდიქციის განმტკიცება, შეცდომაა განმუხურის ბანაკი, წითელი უბნის ინციდენტის ხელისუფლებისეული შეფასება...

ამ დროს მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიო გაერთიანებული ოპოზიციის უპირველესი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე, რომლის ძალისხმევითაც საქართველომ თავიდან აირიდა სახალხო აჯანყება და სამოქალაქო ომი. ბატონ ლევან გაჩეჩილაძეს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა აღმოაჩნდა საქართველოს ბედზე და მის მომავალზე, რასაც ვერ ვიტყვით მის ბევრ თანამებრძოლზე.

**დავით დოლბაძე**



***P. S. ჩვენი გონიერი ხალხის საშინაო ურთიერთობებში, სამწუხაროდ, დიდი ხანია განუკითხავად ბატონობს ლანძღვა-გინება, მუშტი-კრივი, ღრიალი, გაწევ-გამოწევა, როგორც მტკიცების „ურყევი არგუმენტი. ასეთ „არგუმენტებს“ ყველაზე ხშირად მიმართავს ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი, რომლებიც უშპარგალკოდ ორ წინადადებას ერთმანეთზე ვერ გადააბამენ, ტელევიზიით ხშირად გვინახავს ახალი დროის „ციცერონები“ – დაბალი ინტელექტით, პრიმიტიული აზროვნებით...***

***დიდი მადლობა „პრაიმ ტაიმს“, „სამკუთხედს“ და სხვა გადაცემათა ავტორებს, რომლებმაც ასეთი „ციცერონები“ წარმოაჩინა.***

***ახლა რომ ინგა გრიგოლიას ვეჯდე სტუდიაში, უმალ მკითხავდა, ვინ გყავს მხედველობაშიო. მე კი აქედან ვუპასუხებ: პირდაპირ პასუხს არ გაგცემ, ისე კი მივანიშნებ – მხედველობაში მყავს ყველა, ვინც მასზე ჭკვიანია და ღირსეულს „ნაძირალას“, „ბანდიტს“ და „ყაჩაღს“ ეძახის. ვინც ხელთათმანებს გიჟივით ისვრის, დუელში გიწვევთო და წყევლა-კრულვას უთვლის ყველას – ხელისუფალთ, საერთაშორისო დამკვირვებლებს, უცხო ქვეყნის ხელისუფალთ და ა. შ. და ა. შ. ჩემს სიტყვებს ადრესატი ბევრი სხვაც ჰყავს, მაგრამ სჯობს გავჩუმდე: უხიფათოდ ვიქნები.***

***ისე კი, მინდა ყველა მათგანს შევახსენო: ადამიანზე საერთო აზრი იქმნება არა იმის მიხედვით, თუ ის რას ლაპარაკობს თავის თავზე (უფრორე, რა წარმოდგენა აქვს თავის თავზე), არამედ მისი საქმიანობის, გონებრივი შესაძლებლობების და ინტელექტის მიხედვით. იმასაც ნუ დაივიწყებენ, შენ რომ „თხა და გიგო“ და „რწყილი და ჭიანჭველა“ წაკითხული გქონდეს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ გონიერი, მაღალი ინტელექტის კაცი ხარ.***

***დ. დ.***

◎ საუკუნეთა სიღრმეზე

**ეხმაურებიან ჩვენს მიმართვას: ვინ არის, თქვენი აზრით, 100 ყველაზე ღირსებიანი და 100 ყველაზე უღირსებო ქართველი**

# ყველას ჩვენი არჩევანი გვაქვს....

**ერთობ** რთული კითხვები დაუსვა თავის მკითხველს გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ იმდენი ღირსებიანი შვილი გაზარდა, მთელ მსოფლიოს ეყოფოდა. ამიტომ ათიათასებიდან ასის „ამოხშირვა“ არც თუ ისე ადვილია. იწყებ ამორჩევას და ხელი გითრთის, თითქოს აგერ შენ გვერდით სხედან ბუმბერაზი გმირები, ბრძენთმთავრები და საკუთარ მიწასა და რწმენას შეწირული მამულიშვილები. ძალზე ძნელია მათი სასწორის პირზე დადება.... თუმცა ეს საჭიროა და ალბათ ყველამ უნდა გამოხატოს საკუთარი გულის კარნახი. ბუნებრივია, ეს პასუხები პირადული იქნება და არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ რომელიმე ჩვენგანის „ღირსებიანი“, მეორემ „უღირსებოთა“ სიაში შეიტანოს.

მართლაც რამდენი გვყავს დიდებული პიროვნება, რომელმაც არაფერი დაიშურა საკუთარი ერისა და მამულის საკეთილდღეოდ, მაგრამ ცხოვრების სირთულეებმა ზოგჯერ იძულებით ისეთი რამ ჩაადენინა, რაც ჭეშმარიტ ერისკაცს არ ეკადრება. დიახ, იდეალური ადამიანი ამქვეყნად არ არსებობს, ამიტომ ჩვენს გონებაში თითოეული მათგანის საქმე (კარგიც და მანკიერიც) კარგად უნდა ავწონოთ, კეთილსინდისიერად შევაფასოთ და ამის შემდეგ ან ერთ, ან მეორე პოლუსზე მივუჩინოთ იმათ ძირფესვიანად განსხვავებული ადგილი.

„ქართლის ცხოვრებას“ ჩვენს დედაისტორიას დიდმა ილიამ მეფეთა ისტორია უწოდა, სადაც უბრალო ადამიანები ჩრდილში არიან მიყენებული. მართლაც ჩვენმა წერილობითმა ძეგლებმა მხოლოდ მეფეებზე, კათალიკოსებზე და მხედართმთავრებზე შემოგვინახეს ცნობები, იშვიათად თუ გამოერევა უბრალო ადამიანი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე მიიტანა სამშობლოს სამსხვერპლოზე. ასეთები კი, ალბათ, მრავალია. ჩვენი მართალი სიტყვის წინაშე ეს მდგომარეობაც



(უისტორიობა) ქმნის ერთგვარ სიძნელეს, მაგრამ არც ესაა ცუდი, რადგანაც გვაიძულებს, უფრო კარგად ჩავიხედოთ ჩვენს მატიანეებში და ვინ იცის, იქნებ სრულიად ახალი გმირი გავუცოცხლოთ ერსა და ქვეყანას.

მაშ ასე, ჩვენი პირადული აზრით, ათიათასებიდან ამორჩეული ასი ღირსეული ქართველი:

1. აბაშიძე ირაკლი; 2. აბაშიძე მემედ; 3 აბაშიძე ჰაიდარ; 4. აბუსერიძე ტბელი; 5. ამირანაშვილი შალვა; 6. ანდრია მცხეთელი; 7. არსენ იყალთოელი 8. აფხაზი კოტე; 9. ბაგრატ IV; 10. ბარათაშვილი ნიკოლოზ; 11. ბატონიშვილი ალექსანდრე ერეკლეს ძე; 12. ბაქრაძე დიმიტრი; 13. ბეჟანიძე ხუსეინ; 14. გაბაშვილი ეკატერინე; 15. გამსახურდია ზვიად; 16. გამსახურდია კონსტანტინე; 17. გიორგი V ბრწყინვალე; 18. გოგებაშვილი იაკობ; 19. გრიგოლ ხანძთელი; 20. გუდიაშვილი ლადო; 21. გურამიშვილი დავითი; 22. დადიანი ნიკო; 23. დადიანი ცოტნე; 24. დავით III კურაპალატი; 25. დავით IV აღმაშენებელი; 26. დოდაშვილი სოლომონ; 27. ერეკლე II; 28. ეფრემ მცირე; 29. ერისთავი გიორგი; 30. ერისთავი რაფიელ; 31. ვაჟა-ფშაველა; 32. ვაჩნაძე ნატო; 33. ვახტანგ გორგასალი; 34. ვახტანგ VI; 35. ვახუშტი; 36. ვეკუა ილია; 37. ვოლსკი გრიგოლ; 38. ზურაბაშვილი ავლიპი; 39. თამარ მეფე; 40. თევდორე აჭარელი; 41. თაყაიშვილი ექვთიმე; 42. იოანე მტბევარი; 43. იაშვილი ვლადიმერ; 44. კალანდაძე ანა; 45. კირიონ II; 46. კლდიაშვილი დავითი; 47. ლაღიაშვილი იოსებ; 48. მდივანი გიორგი; 49. მესხი მიხეილ; 50. მეუნარგია იონა; 51. მედეა; 52. მელიქიშვილი პეტრე; 53. მელქისედეკ I; 54. მიძელაძე აბდულ; 55. მუსხელიშვილი ნიკო; 56. ნიკოლაძე იაკობ; 57. ნიკოლაძე ნიკო; 58. ნუცუბიძე შალვა; 59. ოპიზარი ბექა; 60. ორბელიანი მარიამ ზაალის ასული 61. ორბელიანი სულხან-საბა; 62. პაიჭაძე ბორის; 63. იბერიელი პეტრე; 64. ჟორდანია თედო 65. ჟორდანია იოსებ; 66. ჟღენტი სულიკო; 67. რაზმაძე ანდრია; 68. როინიშვილი ალექსანდრე; 69. რუსთაველი შოთა; 70. სააკაძე გიორგი; 71. სარაჯიშვილი ვანო; 72. სახოკია თედო; 73. სოლომონ II; 74. სტალინი იოსებ; 75. სუხიშვილი ილიკო; 76. ტაბიძე გალაკტიონ; 77. უზნაძე დიმიტრი; 78. ფალიაშვილი ზაქარია; 79. ფანასკერტელი-ციციშვილი ზაზა; 80. ფარნავაზ I; 81. ფიროსმანი; 82. ქებურია ბესარიონ; 83. ქეთევან დედოფალი; 84. ყაზბეგი ალექსანდრე; 85. ყაზბეგი გიორგი; 86. ყაუხჩიშვილი სიმონ; 87. ყიფიანი დიმიტრი; 88. შერვაშიძე მერი; 89. შერვაშიძე ყადირ; 90. ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო; 91. წერეთელი აკაკი; 92. ჭავჭავაძე ილია; 93. ჭიჭინაძე ზაქარია; 94. ჭყონდიდელი გიორგი; 95. ხარაძე ევგენი; 96. ხიმშიაშვილი სელიმ; 97. ხიმშიაშვილი შერიფ; 98. ხორავა აკაკი; 99. ჯავახიშვილი ივანე; 100. ჯავახიშვილი მიხეილ.

**მოდით ერთად შევადგინოთ ეს ნუსხა**
**თქვენ ვის ნახვას ისურვებდით ამ ნუსხაში?**

ზურაბ სურმანიძე
ქ. ბათუმი

◎ წკეპლიკა

# სწავლის დაწყება კოჭობანას თამაში ხომ არ გვგონია?

**29 ივლისის** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ასეთი ინფორმაცია წავიკითხე: „სწავლის დაწყების თარიღს ყველა სკოლა თვითონ განსაზღვრავს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გია ნოდიამ განაცხადა, რომ სკოლის დირექტორს საშუალება ექნება, სასწავლო წელი 1-ლი სექტემბრიდან თვის მეორე ნახევრამდე დაიწყოს“.

ეს რომ წავიკითხე, მაშინვე მომაგონდა ჩვენი დროის ბავშვების ერთ-ერთი თამაში „კოჭობანა“. კოჭის სროლის დროს იყო ასეთი, რატომღაც რუსული ტერმინი – „так хочу“! ვითომ სასწავლო წლის დაწყებაც თვითდინებაზე, „ტაკ ხოჩუს“ პრინციპით უნდა გადავწყვიტოთ?

საბჭოეთის ეპოქაში, მოგეხსენებათ, სწავლა 1 სექტემბერს იწყებოდა. არავითარი ყურადღება არ ექცეოდა არც გეოგრაფიულ მდებარეობას და არც კლიმატურ პირობებს, რაც თავისთავად შეცდომა იყო. აბა, შეიძლებოდა სწავლის ერთდროულად დაწყება მოსკოვში, ბარნაულში, ვლადივოსტოკში, ჩიტაში, ალმაატაში, აშხაბადში, ტაშკენტში, თბილისში, ბაქოსა და ერევანში?

თუ რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე, აგრეთვე უკრაინასა და ბელორუსიაშიც სწავლის 1 სექტემბერს დაწყება ხელსაყრელი იყო (ამ დროისათვის აღნიშნულ რესპუბლიკებში დამთავრებულია ჭირნახულის აღება, სექტემბრის თვე წინა თვეებთან შედარებით გრილია და მოსწავლე ახალგაზრდობას, სიცხე რა თქმა უნდა, ხელს არ უშლისძ, სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს საქართველოში: აგვისტოს თვის ცხელი დღეების კუდი თითქმის მთელი სექტემბრის თვე გრძელდება. ამასთანავე, სექტემბრის თვე მეტად მიმზიდველია დასასვენებლად როგორც ზღვაზე, ისე მთაშიც.




საქართველოში სექტემბრის თვეში იწყება რთველი, სარჩოსაბადებლის დაბინავება. ალბათ ბევრს ახსოვს, საბჭოთა ხელისუფლების დროს ყველა სასწავლებლის მოსწავლეები და სტუდენტები როგორ იყვნენ დასაქმებული რთველში. ასე იყო ამერშიც და იმერშიც. ფაქტობრივად სექტემბრის თვეში სასწავლო პროცესი ჩაშლილი იყო და სინამდვილეში იგი პირველ ოქტომბერს იწყებოდა.

რამდენიმე წლის წინათ პრესაში გამოვთქვი აზრი, რომ საქართველოში სწავლა დაწყებულიყო არა პირველ სექტემბერს, არამედ პირველ ოქტომბერს, რომელსაც ძველი ქართულით „სთვლისა“ ჰქვია, ხოლო ხალხური კალენდრით – „ღვინობისთვე“. ე.ი. სწავლა უნდა დაიწყოს პირველ ოქტომბერს, იგი გაგრძელდება 9 თვეს; არდადეგების თვეები უნდა იყოს: ივლისი, აგვისტო და სექტემბერი. ეს ხელსაყრელი იქნება როგორც მოსწავლე ახალგაზრდობისთვის, ისე მათი მშობლებისთვისაც.

სხვათა შორის, ჩემი ეს წინადადება ყურად იღო განათლების წინა მინისტრმა, მაგრამ მანაც ჩემს წინადადებას სექტემბრის თვის ბოლო ერთი კვირა ჩამოაჭრა. ვერ მივხვდი რატომ.

ამ საქმის გონივრული გადაწყვეტა სახალხო საქმეა. ქვეყანაში სწავლის დაწყების დღედ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაკანონდეს პირველი ოქტომბერი.

დურმიშხან ცინცაძე

◎ ინფორმაცია

## საზღვარს ახლა ჟურნალისტებიც იცავენ

**საქართველო-რუსეთის** საზღვრის თუშეთის მონაკვეთის დაცვა დროებით ქართველმა ჟურნალისტებმა გააძლიერეს.

მათ საშუალება მიეცათ, შაბათ-კვირას, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, საზღვრის მონაკვეთის პატრულირება განეხორციელებინათ და ენახათ, თუ როგორ პირობებში უწევთ მუშაობა მესაზღვრეებს.



საზღვრის აღნიშნული მონაკვეთი რამდენიმე წლის წინათ თითქმის სრულად უკონტროლო იყო. დაღესტნიდან და ჩეჩნეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა უპრობლემოდ იყო შესაძლებელი. ბოლო 3 წლის განმავლობაში კი, საზღვრის დარღვევის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა.

სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებს, სათანადო გამოცდილებასთან ერთად, ყველა საჭირო ტექნიკური საშუალება აქვთ. ეუთოსგან მათ რამდენიმე ბაზაც ერგოთ, სადაც ისინი ამჟამად ცხოვრობენ.

საზღვრის დაცვაზე ყველაზე ნაკლებად მესაზღვრეები ზამთარში ზრუნავენ. ზამთრის თვეებში მთიანი მონაკვეთის გავლა, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

ომალოში ყველაზე მეტი ხალხი თუშეთობაზე ჩადის, რომელიც, ტრადიციულად, აგვისტოში იმართება. დღესასწაულზე სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები სასურველი სტუმრები არიან.

მოსახლეობასთან ერთად, მესაზღვრეების დახმარების იმედი ხშირად ქართველ და უცხოელ ტურისტებს აქვთ. სტუმრების გადაადგილების შესახებ ინფორმაციის გაცვლა სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებს შორის ხდება.

## ყაზახები ქართული ბოსტნეულით დაინტერესდნენ

**ყაზახეთის** რესპუბლიკის მანგისტაოს ოლქის სოფლის მეურნეობის სფეროს წარმომადგენლები საქართველოს რეგიონებში საკონსერვო საწარმოებს ეცნობიან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი სტუმრებს გუშინ შეხვდა. საუბარი ორ ქვეყანას შორის სამომავლო ურთიერთობებსა და საქართველოდან ხილ-ბოსტნეულის ექსპორტის საკითხებს შეეხო.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციით ყაზახეთი დაინტერესდა.

მისივე თქმით, ყაზახი სტუმრები ოთხი დღის განმავლობაში საქართველოს რეგიონებს ესტუმრებიან და ვოიაჟს აჭარაში დაასრულებენ.

ყაზახები ქართული კიტრით, პომიდვრით, ვაშლით, ყურძნითა და ციტრუსებით დაინტერესდნენ.

ინტერპრესნიუსი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი გვაფრთხილებს, რომ სამხრეთ კავკასიაში ომია მოსალოდნელი



**ქართულ-ოსური კონფლიქტის გამწვავება ამყარებს ნიადაგს ახალი ომის დაწყების მოსამზადებლად. „საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის საშიშროება სულ უფრო რეალური ხდება“, — განაცხადა კვირას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. სამხრეთ ოსეთის უღიარებელი რესპუბლიკისა და საქართველოს საზღვარზე მოხდა მეტად სერიოზული შეტაკებანი. რუსეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, შეტაკებების დროს დაიღუპა 6 კაცი, სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო 17 კაცმა.**

დღემდე გაურკვეველია, თუ რა გახდა ახალ სამხედრო მოქმედებათა დასაწყისის კატალიზატორი. საქართველოს და თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებანი ძალოვან მოქმედებათა დასაწყისში ერთმანეთს სდებენ ბრალს. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის სიტყვებით, პარასკევ საღამოს სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალში პოლიციელებად გადაცმულმა ქართველმა სნაიპერებმა გაუხსნეს ცეცხლი მშვიდობიან მოქალაქეებს. შემდეგ გამოიყენეს მსხვილკალიბრიანი იარაღი და ყუმბარსატყორცნები.

საქართველოს ხელისუფლება, პირიქით, ამტკიცებს, რომ სამხედრო მოქმედებანი იყო პასუხი აგრესიაზე სამხრეთ ოსეთის მხრიდან. თბილისის განცხადებით, სამხრეთ ოსეთის სეპარატისტებმა ააფეთქეს საქართველოს პოლიციელების ავტომობილი, რის შედეგადაც მძიმედ დაიჭრა ხუთი პოლიციელი. მას შემდეგ, რაც ცეცხლი გაუხსნეს ქართულ სოფლებს ცხინვალის მახლობლად, გაიხსნა საპასუხო ცეცხლი. კოკოითის სიტყვებით, ეს შეჯახებანი იყო ყველაზე სერიოზული 2004 წლის შემდეგ.

> *თბილისის განცხადებით, სამხრეთ ოსეთის სეპარატისტებმა ააფეთქეს საქართველოს პოლიციელების ავტომობილი, რის შედეგადაც მძიმედ დაიჭრა ხუთი პოლიციელი. მას შემდეგ, რაც ცეცხლი გაუხსნეს ქართულ სოფლებს ცხინვალის მახლობლად, გაიხსნა საპასუხო ცეცხლი. კოკოითის სიტყვებით, ეს შეჯახებანი იყო ყველაზე სერიოზული 2004 წლის შემდეგ*
>
> DER STANDARD

გამკაცრებული კონფლიქტი საქართველოსა და რუსეთს შორის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გამო მწიფდება უკვე ათ წელზე მეტია. რუსეთი მხარს უჭერს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სწრაფვას დამოუკიდებლობისკენ, მაშინ, როდესაც საქართველო ძველებურად ცდილობს, შეინარჩუნოს სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. საქართველოს სწრაფვა, გახდეს ნატოს წევრი და კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება უკანასკნელ პერიოდში გახდა საბაბი ამ გამწვავებისა, რომელიც ისედაც მწვავე იყო თბილისსა და მოსკოვს შორის.

როგორც „რია ნოვოსტი“ იტყობინება, უკანასკნელ მოვლენებში კოკოითმა ბრალი საქართველოსთან ერთად დასდო უკრაინასა და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც, რომლებმაც უზრუნველყვეს საქართველო სნაიპერული იარაღით. „პასუხისმგებლობა აკისრიათ იმ ქვეყნებსაც, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს ფსევდოდემოკრატიულ იმიჯს, არ სურთ ობიექტურად შეაფასონ სიტუაცია რეგიონში და საერთაშორისო ამხანაგობა შეჰყავთ დაბნეულობაში“, — განაცხადა უღიარებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა. საქართველომ, თავის მხრივ, ბრალი დასდო რუს სამშვიდობოებს, რომლებიც კონფლიქტის ზონაში განთავსებული არიან 1994 წლიდან, რომ ისინი აქტიურად ერთვებიან შეტაკებებში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კვირას მოუწოდა კონფლიქტის მხარეებს, შეინარჩუნონ „მაქსიმალური თავშეკავებულობა“, საქართველოსგან კი კვლავ მოითხოვა ხელი მოაწეროს ამბოხებულ რესპუბლიკებთან ხელშეკრულებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ. ამ დროს სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის ზონიდან ხდება ბავშვების, ქალებისა და ხანდაზმული ადამიანების ევაკუაცია. როგორც როიტერი იტყობინება, ასობით ქალი და ბავშვი უკვე გაიქცა სამხრეთ ოსეთიდან მეზობელ რუსეთში.

ვერენა დიხტელმი

# საქართველოს ელვარება და სიღატაკე

**მიხეილ სააკაშვილი ტრაბახობს საქართველოს მომავალ აყვავებაზე, ამ დროს ქვეყანა დაბეჯითებით უდასტურებს მსოფლიოს თავის ფინანსურ-ეკონომიკურ უძლურებას და დეფოლტის ზღვარზე ბალანსირებს. მხოლოდ გასული ნახევარი წლის განმავლობაში საქართველომ შეძლო მოეზიდა ნახევარი მილიარდი დოლარის კრედიტი და საშუალო საგარეო ვალი მიეყვანა ასეთი პატარა ქვეყნისათვის ასტრონომიულ თანხამდე — 2,376 მილიარდ დოლარამდე.**

საქართველოს აქვს გერმანიის, რუსეთის, იაპონიის, თურქეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ყაზახეთის დიდი ვალები, სხვა ქვეყნებთან კი ყველაფერი წვრილმანია (მას ამჟამად სულ 16 კრედიტორი ჰყავს). ადრე კი თბილისმა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსაგან უნაცვალგებოდ მიიღო ეკონომიკის, ტექნიკური და ჰუმანიტარული პროექტების განვითარებისათვის 2 მილიარდი დოლარი. მაგრამ ეს ფული არაფრით არ ასახულა მოსახლეობის კეთილდღეობაზე — უფრო მეტიც, ქვეყანა სიღარიბეში ჩავარდა. ამ დროს პრეზიდენტი და მისი პარტია არწმუნებს ხალხს, რომ ის სამოთხეშია და იფიცება, დაძლევს სიღარიბეს სულ რაღაც 50 თვეში.

საქართველო აშკარად აღმოჩნდა საერთაშორისო ორგანიზაციების საფინანსო ინიექციების ნემსზე, რომელთა დაფინანსებაც დღითი დღე იზრდება — თბილისი ვალშია მათ წინაშე 1,323 მილიარდ დოლარში. მიმდინარე წლის მაისში მსოფლიო ბანკმა გადაწყვიტა „გადაეგდო“ საქართველოსათვის კიდევ 13,8 მილიონი დოლარი. ეს ფული შემოდის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ხაზით, რომელიც წარმოადგენს ამ ბანკის შვილეულ ორგანიზაციას, და სპეციალიზებულია ყველაზე გაჭირვებული ქვეყნების შეღავათიან დაკრედიტებაზე.

13 ივნისს საქართველოს მთავრობამ და მსოფლიო ბანკმა მოაწერეს ხელი უკვე რიგით მეოთხე ხელშეკრულებას საფინანსო განვითარების (სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობის პროგრამისძ პროექტის ფარგლებში. დოკუმენტი ითვალისწინებს ქვეყნის ბიუჯეტის საჭიროებისათვის 22,7 მილიონი დოლარის გამოყოფას. პროგრამის საერთო მოცულობა კი 80 მილიონ დოლარზე მეტია.

ბუნებრივია, ყველა სასესხო სახსარი შედის საქართველოს ბიუჯეტში და მისი მართვა ეგრე ადვილი როდია. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ მარტში ევროკავშირმა საქართველოს ასესხა 5 მილიონი ევრო, რომელიც მოხმარდება სახელმწიფო ფინანსების მართვას. ფული შემოსულია ევროპის კეთილმეზობლური პოლიტიკის პროგრამის რეალიზაციის ფარგლებში. ეს არის გრანტის ნაწილი, რომლის საერთო მოცულობა 16 მილიონ ევროს შეადგენს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და ევროპის საინვესტიციო ბანკი აგრეთვე ხსნიან საქართველოში საკრედიტო ხაზს 3,7 მილიარდი ევროს ოდენობით ხუთი წლის ვადით. ორივე ბანკს განზრახული აქვს დაიწყონ სერიოზული მუშაობა საქართველოსთან და ხელი შეუწყონ იაფი კრედიტების მოზიდვას ინფრასტრუქტურის, ენერგოტექნიკისა და გარემოზუნების დაცვის პროექტების დაფინანსებას — იმისდამიუხედავად, იქნებიან თუ არა ეს პროექტები სახელმწიფო ან კერძო სექტორში მომზადებული.

> *თბილისმა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსაგან უნაცვალგებოდ მიიღო ეკონომიკის, ტექნიკური და ჰუმანიტარული პროექტების განვითარებისათვის 2 მილიარდი დოლარი. მაგრამ ეს ფული არაფრით არ ასახულა მოსახლეობის კეთილდღეობაზე — უფრო მეტიც, ქვეყანა სიღარიბეში ჩავარდა. ამ დროს პრეზიდენტი და მისი პარტია არწმუნებს ხალხს, რომ ის სამოთხეშია და იფიცება, დაძლევს სიღარიბეს სულ რაღაც 50 თვეში*
>
> РОСБАЛТ

ამას გარდა საქართველომ გამოუშვა და განათავსა ნახევარი მილიარდი დოლარის ოდენობის თავისი ევროობლიგაციები. იგი ცდილობს მეტად იაფად გაყიდოს სახალხო დოვლათის ღარიბი ნაშთები, რომლებიც ვერ შეძლეს ან არ მოინდომეს „მიეტაცათ“ გამოცდილ თანამემამულეებს.

ყოველივე ეს ერთად, უზრუნველყოფს ბიუჯეტში შემოსავლებს და მის ზრდას წინა წლებთან შედარებით, რითაც ასე ამაყობს სააკაშვილი. თუმცა, ეროვნული ვალუტის ლარის წარმოუდგენელ გამყარებაში თავის დამსახურებას იგი ვერ ბედავს. როგორც „ბიგ მაკის“ ინდექსი გვიჩვენებს, ერთი ლარის მყიდველობითი უნარი დაახლოებით უტოლდება ერთი დოლარის მყიდველობით უნარს (შეგახსენებთ, რომ ინდექსი გამოიგონა ჟურნალმა „ეკონომისტმა“ და უჩვენებს სხვაობას სხვადასხვა ქვეყნის ფასებში, „მაკდონალდში“ ბიგ მაკის ღირებულების შესაბამისად, რაც ერთნაირია მთელს მსოფლიოში, მაგრამ ღირს სხვადასხვა ოდენობით ქვეყანაში ფასების დონეთა შესაბამისადძ.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში სტანდარტული ბიგ მაკი ღირს 3,54 დოლარი. ამ დროს შემოსავლების დონე საქართველოში ასჯერ და ათასჯერ უფრო დაბალია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ამერიკელი პენსიონერი დაკმაყოფილდეს დახმარებით 50 დოლარის ოდენობით, ხოლო ავტობუსის მძღოლი იმუშავებდეს თვეში 350 დოლარს.

რესპუბლიკა ცხოვრობს უპირატესად იმპორტის ხარჯზე. რესპუბლიკური სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობით, ექსპორტის მოცულობამ წლის პირველ ნახევარში 611,4 მილიონი დოლარი შეადგინა, იმპორტმა კი — 2,598 დოლარი. ამასთან დსთ-ს ქვეყნებზე მოდის 32,8 პროცენტი საქართველოს მთელი საგარეო-სავაჭრო ბრუნვიდან და 32,3 პროცენტი — რესპუბლიკის უარყოფითი სავაჭრო ბალანსიდან.

საქართველოში ძირითადად შემოდის ნავთობპროდუქტები და ენერგოშემცველები. ძირითადი საექსპორტო პროდუქცია კი ფეროშენადნობებია, შავი ლითონის ჯართი, ბრინჯაო და სასუქები. საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, ნავთობპროდუქტებზე მსოფლიო ფასების გადიდება ზრდის იმპორტის ღირებულებას და წარმოადგენს საქართველოს სავაჭრო დეფიციტის ზრდის ძირითად მიზეზს (რაც არ შეიძლება არ აისახოს კვების პროდუქტებზე და მოხმარებულ საქონელზეძ. ამას წინათ საქართველოს პარლამენტმა დააკმაყოფილა პრეზიდენტისა და უმაღლესი მთავარსარდლის მიხეილ სააკაშვილის საკანონმდებლო ინიციატივა, გაზარდა ქვეყნის შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა 32 ათასიდან 37 ათას სამხედრო მოსამსახურემდე (შევნიშნავთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მოსვლამდე არმიის რიცხოვნობა შეადგენდა 18 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერსძ. ამავე დროს დეპუტატებმა დაამტკიცეს შესწორებები ქვეყნის ბიუჯეტში, რომლებიც ითვალისწინებენ ქვეყნის თავდაცვის უწყების დაფინანსების გადიდებასაც. კერძოდ, 2008 წლის ბოლომდე თავდაცვის სამინისტრო დამატებით 295 მილიონ ლარს მიიღებს და ამ სამინისტროს ბიუჯეტი წლის ბოლოსათვის მიაღწევს 1,395 მილიარდ ლარს (997 მილიონი დოლარიძ.

სანამ ქართველი პოლიტიკოსები გამოთქვამდნენ პროტესტს, ეკონომისტებმა გაიანგარიშეს შესწორებები სახელმწიფო ბიუჯეტში. და აღმოჩნდა, რომ სამხედრო ხარჯების გაზრდასთან ერთდროულად შემცირდა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება, ასიგნებანი საგარეო ვალდებულებათა დაფარვაზე, სტაბილური განვითარების ფონდის შევსებაზე და მომავალი თაობების ფონდზე. ასე რომ, ეტყობა, საქართველოს არც სტაბილურობა, არც მომავალი არ გააჩნია — არის მხოლოდ ვალი და ომისათვის თეორიული მზადება.

ალბერტ ვენალაინენი

## დედამიწის ზურგზე

**სამხრეთ კორეამ** ბრალი დასდო ამერიკის შეერთებულ შტატებს მშვიდობიანი მოქალაქეების დახოცვაში კორეის ომის დროს და განზრახული აქვს, მიიღოს კომპენსაცია. ომიდან 50 წლის შემდეგ სეულის მთავრობის სიმართლისა და შერიგების კომისიამ საიდუმლოება მოუხსნა დოკუმენტს, რომელიც ემყარება კორეელთა მიმართვებს. ისინი ადასტურებენ, რომ ამერიკის სარდლობა ზოგ შემთხვევაში იძლეოდა პირდაპირ ბრძანებებს, განეხორციელებინათ შეტაკება თავისი სამხრეთ კორეელი მოკავშირეების წინააღმდეგ.

* * *

**უკრაინელი** ისტორიკოსი მოუწოდებს, მოახდინონ ბერიას რეაბილიტაცია, რომელსაც მან „უკრაინელი ნაციონალისტი“ უწოდა. პოლიტოლოგ კოსტია ბონდარენკოს აზრით, ბერიამ ხელი შეუწყო დასავლეთ უკრაინაში პოლიტიკის ლიბერალიზაციას და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან ათავისუფლებდა ამგვარი პოლიტიკის მოწინააღმდეგეებს. ბონდარენკო ამტკიცებს, რომ ბერიამ მოახდინა მთელი რიგი ამნისტიების ინიცირება უკრაინელი მეამბოხე არმიის ბოევიკებისათვის და აწარმოებდა საიდუმლო მოლაპარაკებებს უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციასთან.

* * *

**„ალ-ყაიდამ“** დაადასტურა თავისი მთავარი „მწვრთნელის“ ალ-მასრის დაღუპვის ფაქტი. აბუ-ხაბაბ ალ-მასრი, რომლისთვისაც დაწესებული იყო ხუთი მილიონი დოლარი, სავარაუდოდ მოკლეს პაკისტანზე ამერიკის შეერთებული შტატების საავიაციო თავდასხმის შედეგად გასულ კვირას. მაგრამ ამერიკელი სამხედროები ჯერჯერობით ამას არ ადასტურებენ.

* * *

**ნორვეგიაში** მეხი ბრბოში ჩავარდა: დაზარალებულია თითქმის ასი კაცი. 90-ზე მეტი ადამიანი დაზიანდა კვირას ავტორალის დროს მეხის დაცემის შედეგად. ყველა დაზარალებული ჰოსპიტალიზებულია, ზოგიერთი მათგანი მძიმე მდგომარეობაშია. დაჭრილთა ევაკუაციისათვის ამოქმედებულ იქნა „სასწრაფო დახმარების“ 16 შვეულმფრენი.

* * *

**აშშ** სანაპიროს ემუქრება მექსიკის ყურეში წარმოქმნილი ძლიერი ტროპიკული გრიგალი „ედუარდი“. ამერიკის შეერთებული შტატების მაიამში გრიგალების დაკვირვების ეროვნული ცენტრის ექსპერტები ქმნიან რამდენიმე სავარაუდო სცენარს მოვლენათა განვითარებისათვის. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, გრიგალს შეუძლია მიაღწიოს (ძლიერი ნაკადების სიჩქარეა 111 კილომეტრი საათში) სიმძლავრის იმ დონეს, რომელიც უახლოვდება 119 კილომეტრს საათში მანამ, ვიდრე მიაღწევდეს ამერიკის შეერთებული შტატების სანაპიროებს.

მეგობრების ნაჩუქარი...

# ორი წიგნის ანდამატი




**ეს ორი წიგნი და მათი ავტორები რაღაცით გვანან ერთმანეთს. ერთი დიდ ქართველ მწერალს ჭაბუა ამირეჯიბს ეკუთვნის, მეორე – ცნობილ ლიტერატორს, კინოდრამატურგსა და პედაგოგს რეზო კვესელავას.**

ბატონი ჭაბუა კარგა ხანს კინოს ემსახურებოდა. ნეტა იმ დროს (1969-70 წლებშიძ, როცა მეც მისი თანამშრომელი გახლდით კინოინფორმაციისა და რეკლამირების ბიუროში. მერე იგი დოკუმენტური ფილმების სტუდიის დირექტორიც იყო. ერთხელ ცოტა ფულიც „გამაკეთებინა" ბატონმა ჭაბუამ. მიველი სტუდიაში, ვთხოვე, სცენარი გექნებათ-მეთქი დასაწერი, რომელიმე მომავალი ფილმისთვის. გაალვივა ჩიბუხი, გადაშალა იმ წლის პერსპექტიული გეგმა, ა ბატონო, თუ გააკეთებო, მართალია შენს „დუხში" არ არის, მაგრამ რას იზამ... სცენარის თემა იყო – „სოცშეჯიბრება ცხიმკომბინატში". ვინ ჩიოდა, ახალმიღებულ ბინას ვარემონტებდი და, რომ იტყვიან, კაპიკს კაპიკზე ვაწეპებდი. მიველი ცხიმკომბინატში, ვნახე დირექტორი, ბატონი შოთა ქუტიძე, გავიარ-გამოვიარე საწარმოში, გავესაუბრე მუშა-მოსამსახურეებს, სულ ოთხი გვერდი სცენარი დავწერე ორნაწილიანი დოკუმენტური ფილმისთვის, მივუტანე სტუდიაში ქალბატონ ნელი დოლიძეს და ათას მანეთამდე ჩამითვალეს... გადაიღეს ფილმი, რომელიც, თურმე, მოსკოვის შეკვეთა ყოფილა, იქ მოსწონებიათ და დამატებითი ჰონორარი გამოუყვიათ სტუდიისთვის. ერთ დღეს მირეკავენ, მობრძანდით სტუდიაში და კუთვნილი ფული აიღეთო. ჰოდა, ექვსასი მანეთი კიდევ შემხვდა...

კალამი გამექცა, მაგრამ „არ უნდა მეთქო?" ეეეე... რამდენი ასეთი სიკეთე გაუკეთებია ბატონ ჭაბუას!


თენგიზ აბულაძე (მარცხნივ) და რეზო კვესელავა

ახლა რეზო კვესელავა, რომელსაც, სხვათა შორის, 2 აგვისტოს 75 წელი შეუსრულდა, რასაც გულწრფელად ვულოცავ, შეიძლება ითქვას, რომ იგი თავის დღე და მოსწრება, კინოსტუდია „ქართულ ფილმში" ილვწის. თავიდან ჟურნალისტობით დაიწყო და, მცირე ხანს, თბილისის უცხო ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის გერმანისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში მუშაობდა. თუმცა, მალე, ბატონი რეზოს ნიჭსა და განათლებას ბრწყინვალე მეცნიერმა და მამულიშვილმა, იმხანად კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორმა, ბატონმა მიხეილ კვესელავამ ახალი მიმართულება მისცა – თანასოფლელი (მარტვილის რაიონის სოფელი ნახარებაოძ კინოსტუდიაში, ალდგენითი ფილმების დუბლიაჟის განყოფილებაში გადაიყვანა რედაქტორად და რეზომაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება კინოს დაუკავშირა. მალე ნიჭიერი, გემოვნებიანი კინოდრამატურგის სახელი დაიმკვიდრა. დაწყებული თენგიზ აბულაძის „ვედრებით" – რეზო კვესელავა სხვა გახმაურებული ფილმების სცენარის ავტორიცაა. ესენია – „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა", „გზა შინისაკენ", „მონანიება", „ქერი", „კავკასიური მისტერიები" და სხვ.

წიგნში – **„მოგონებები ქართველ კინემატოგრაფისტებზე"** ავტორი იხსენებს იმ ადამიანებს, რომლებმაც ღრმა კვალი დააჩნიეს მის ხსოვნა-გონებას. რა თბილად, რა ადამიანურად ხატავს ბატონი რეზო ქართველი კინომოღვაწეების – თენგიზ აბულაძის, აკაკი ბაქრაძის, სულიკო ჟღენტის, მიხეილ კვესელავას, მიხეილ კობახიძის, კოტე მიქაბერიძის, ალექსანდრე რეხვიაშვილის, სერგო ფარაჯანოვის, ოთარ იოსელიანის, დორე ხინთიბიძისა და სხვათა პორტრეტებს. წიგნს ახლავს უნიკალური ფოტომასალა ავტორის პირადი არქივიდან და კინოსტუდია „ქართული ფილმის" ორასამდე თანამშრომლის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები. ეს სამყარო, ეს ადამიანები ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის ძალზე ძვირფასი და მახლობელია, რადგან ჟურნალისტური საქმიანობა მე კინოგაზეთ „ეკრანის ამბებში" დავიწყე 1966 წელს და ხშირად ვიყავი ხოლმე „პლეხანოვზე", კინოსტუდიაში. თუნდაც ამიტომ დიდი მადლობელი დავრჩი ბატონი რეზო კვესალავასი, რომელმაც თავისი წიგნი თანასოფლელის, შესანიშნავი ინტელიგენტისა და ეკონომისტის, ეკონომიკის საკითხებზე ღრმად და თანამედროვედ მოაზროვნე პუბლიცისტის, ბატონ ამირან გაბისონიას ხელით გამომიგზავნა. საუბარს მოჰყვა და ბატონმა ამირანმა ბევრი ისეთი რამ მიამბო თავისი ბავშვობის მეგობარზე, რაც მე, ცხადია, არ ვიცოდი:

**– რეზო კვესელავა მარტვილის რაიონის სოფელ ნახარებაოდანაა. ეს სოფელი, ასე ვთქვათ, ზედ ეკვრის რაიონის ცენტრს – მარტვილს, სადაც რეზო ხშირად სტუმრობდა თავის ბებია-ბაბუასთან, რომლებიც ჩემს გვერდით სახლობდნენ.**

**მაშინ, ჩვენს ბავშვობაში, არც ტელევიზორი იყო და არც კომპიუტერი გვქონდა, სამაგიეროდ განურჩევლად ვკითხულობდით ქართულად დაბეჭდილ მხატვრულსა და არამხატვრულს, პოლიტიკურსა და ფილოსოფიურ ლიტერატურას, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც მარტვილის რაიონული ბიბლიოთეკის თაროებზე მიჯრით ეწყო...**

**რეზო ყმაწვილობიდანვე არაორდინარულად აზროვნებდა. ამას მაშინ ქვეშეცნეულად ვხვდებოდით, შემდეგ კი, სტუდენტობის წლებში უფრო ვიგრძენით. რეზო ძალზე ნიჭიერი იყო და იოლად ითვისებდა ბეკონს, ჰეგელს, კანტს... მასთან კამათში სიფრთხილე გმართებდა. მართალია, სკოლაში, გაკვეთილზე ეს მაინცდამაინც არ ჩანდა, მაგრამ კლასგარეშე თემებზე საუბრისას აშკარად გამოირჩეოდა.**




**სტუდენტობის მეორე წელს რეზო, გვიან ღამით, ვაკეში, ტრამვაის ქვეშ მოჰყვა (მაშინ თბილისში ტრამვაით დასახიჩრებული ახალგაზრდა იშვიათობა არ იყო) და ორივე ფეხი დაჰკარგა. სალსალამათი ყმაწვილი კაცი თითქოს ბედისწერამ დასეტყვა, მაგრამ რეზო ცხოვრებაზე არ გაბოროტებულა, როგორც ეს ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება. დღემდე მთელი მისი არსებობა ქედუხრელი ადამიანის უტეხი ნებისყოფისა და გონების ჭიდილია... რეზო გონებამ, ღრმად ადამიანურმა გონებამ იხსნა, გონებამ, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში სიკეთის საწყისს ეძებს და... პოულობს,** – მითხრა ბატონმა ამირანმა.

რეზო კვესელავას მემუარული წიგნი „მოგონებები ქართველ კინემატოგრაფისტებზე" სწორედ ასეთი გონებითაა დაწერილი.

ბატონი ჭაბუა ამირეჯიბიც ახლახან გამოსულ თავის სქელტანიან წიგნში – **„ნაფიქრალიდან"** შიგადაშიგ გვერდს ვერ უვლის კინოს, რომელიც ასე ექვირფასება. საერთოდ კი, ჩვენი 86 წლის ცოცხალი კლასიკოსი, ამ გამოცემით თითქოს აჯამებს თავის ბობოქარ ცხოვრებას და ბრწყინვალე შემოქმედებას: გვესაუბრება იგი ამირეჯიბთა წარმომავლობაზე, თავის ბიოგრაფიასაც გვაწვდის, გვთავაზობს ამონარიდებს ინტერვიუებიდან, გვაკითხებს მიძღვნებს, პორტრეტებს, გამოსვლებს, მისალმებებს, სხარტი ეტიუდებით კიდევ ერთხელ იგონებს საპატიმროებს... წერს ბრძენი, მრავლისმნახველი შემოქმედი... წიგნი მართლაც სამაგიდოა და გმადლობთ, ბატონო ჭაბუა, მისი ჩუქებისთვის.

ბედი კაცისა

# სამშობლო დაგელოცოს, „უცხოობაში რაა სიამე", ჯუმბერ!

**აი, ბედის ირონია, კაცი, რომელსაც მზე და მთვარე ამოდის თავის კოპწია სამშობლოზე, უკვე ცხრა წელიწადია ოკეანის გაღმა, უზარმაზარ შტატებში ცხოვრობს... დღედაღამ ფიზიკურად და გონებრივად შრომობს იგი – ბობოქარი სულისა და დაუდგრომელი ენერგიის მქონე პიროვნება, ცნობილი სპელეოლოგი, დიდებული ჟურნალისტი, თითქოს ქართული ზღაპრებიდან გადმოსული დევკაცი, რათა ოჯახს ლუკმაპური არ მოაკლდეს თბილისში...**

თითქოს დაუჯერებელიც კია, რომ ამ გაწამაწიაში ჩვენს ჯუმბერ ჯიშკარიანს 70 წელი შესრულებია...

8 აგვისტოს, შენი დაბადების დღეს, აქაური მეგობრები, უშენოდ ავწევთ ჭიქას შენს სადღეგრძელოდ, ჩვენო ჯუმბერ. დაგილოცავთ ყველაზე სანუკვარს – ადგილის დედას, გავიხსენებთ წასულ მეგობრებს და პატივს მივაგებთ ყველა იმ პიროვნებას, ვინც განსაკუთრებული როლი ითამაშა შენს ცხოვრებაში.



ამ დღეს, შენთან ერთად, როგორ შეიძლება არ ვახსენოთ დიდი ქართველი მამულიშვილი, დიდებული მწერალი, მთამსვლელი და მრავალი ეროვნული საქმის მოთავე, შენი უფროსი მეგობარი ლევან გოთუა, რომელიც გვერდიდან არ გიცილებდა უერთგულეს კაცს, გენდობოდა და თურმე იმიტომაც, რომ მიმწუხრი ჟამს შენ ყოფილიყავი მისი სუნთქვის გამცილებელიც და თვალის დამხუჭველიც. ასევე გავიხსენებთ „კაი ყმას" – გურამ თიკანაძეს, ვის მაგიდასაც მიუჯექი და ვისი საქმიანობის მემკვიდრე გახდი, ტოპოგრაფიული ტექნიკუმისა და უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში რომ მიხვედი ენთუზიაზმით აღსავსე სრულიად ახალგაზრდა ბუნებისმეტყველი. რას იფიქრებდი მაშინ, რომ ბედი გაგიღიმებდა და გეოგრაფიული მეცნიერების კორიფეებთან – ლევან მარუაშვილთან, შალვა ყიფიანთან, ზურაბ ტატაშიძესთან, არსენ ოქროჯანაშვილთან და სხვა შესანიშნავ სპელეოლოგებთან ერთად, კარსტოლოგიის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დარგის მესაძირკვლე გახდებოდი საქართველოში. იმ დროს, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდი, რომ ახალი სპელეოლოგიური აღმოჩენებით გაამდიდრებდი გეოგრაფიულ მეცნიერებას, შეისწავლიდი ნაშრომს, ხოლო შენი სახელი გასცდებოდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და სამუდამოდ დაუკავშირდებოდა შენს მიერ აღმოჩენილ და კეთილმოწყობილ, მსოფლიოში უნიკალურ ყუმისთავისა და ახალი ათონის მღვიმეებს.

სპელეოლოგიასთან ერთად, კალამიც ხელიდან არასოდეს გაგიგდია და დღემდე პირუთვნელად, დიდი ილია მართლისეული „მოყვარეს პირში უძრახეს" პრინციპით, მსოფლიოს აცნობ შენი უნიკალური ქვეყნის – საქართველოს განუმეორებლობას, პატივს მიაგებ ღირსეულ პიროვნებებს და დაუზოგავად ამათრახებ ქვეყნის მტერსა და გამყიდველს, მისი სახელის გამტეხს.

რა ვქნათ, ასეთია ჩვენი ბედკრული სამშობლოს დღევანდელი ისტორიაც – მისი შვილები, უბრალო მოქალაქენი თუ გამორჩეული ადამიანები, იძულებელი არიან სარჩო-საბადებელი ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში ეძებონ...

მომავალი ჩვენია, ჯუმბერ, მალე შეხვედრამდე აქ, თბილისში, მანამდე კი ჩვენი რედაქცია, რომელიც სულითა და გულით გილოცავს დაბადების 70 წლისთავს, კვლავაც ელოდება შენგან ნიჭიერად, მაღალპროფესიულად შესრულებულ ნაწერებს შტატებიდან.

ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი

## ნარდი



# მემორიალური ტურნირის მასშტაბები გაიზარდა

**გოგი ბუკიას სახელი კარგად არის ცნობილი საქართველოს ჟურნალისტურ წრეებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი წლების განმავლობაში აქტიურად მუშაობდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“, საქინფორმისა და საქართველოს ტელევიზიის საკუთარ კორესპონდენტად სამეგრელოს რეგიონში, იყო ხობის რაიონული გაზეთის რედაქტორი, მრავალი მნიშვნელოვანი პროექტის ინიციატორი და განმხორციელებელი, თავის მხარეში ნარდის დიდი პოპულარიზატორი. სამწუხაროდ, შარშან მოულოდნელად შეწყდა ბატონი გოგის გულისცემა.**

2007 წელსვე განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ (**პრეზიდენტი გოდერძი ბუკია**) ინიციატივით დაფუძნდა გოგი ბუკიას მემორიალური ღია საერთაშორისო ტურნირი ნარდში, რომელსაც სასტუმრო „საქართველომ“ უმასპინძლა. შეჯიბრებაში საქართველოს, რუსეთისა და სომხეთის 38 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ყველას საჩხერელმა მონარდემ ბაკურ ცერცვაძემ აჯობა.

წლეულს მემორიალური ტურნირის მასშტაბი გაიზარდა. ნარდის მსოფლიო ფედერაციამ (**პრეზიდენტი ჩივა ტაფაზოლი**) გოგი ბუკიას სახელობის მეორე საერთაშორისო ნარდის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჩივა ტაფაზოლი, მართალია, მიუნხენში ცხოვრობს და მოღვაწეობს, მაგრამ წარმოშობით ირანელია. ამაყობს იმით, რომ უძველესი ნარდი სპარსეთშია აღმოჩენილი და მისი ისტორია 6 ათას წელს ითვლის. თავად ბიზნესმენი გახლავთ – თამაშებისა და გართობის სფეროს მენეჯმენტისა და მარკეტინგის კონსულტანტი. საქართველოში მეორედ იმყოფება, ამიტომ აქაურებთან ურთიერთობაში უფრო თამამია.

– სანამ პირველად ვესტუმრებოდი თქვენს ქვეყანას, მანამ ძალიან ცუდი ხმები მესმოდა, – მითხრა ბატონმა ჩივამ. – მერე დავრწმუნდი, რომ ყველაფერი გაზვიადებული და ჭორია, რადგან საქართველო არის ერთი პატარა ლამაზი ქვეყანა გულთბილი, სტუმართმოყვარე ხალხით. ეს ამ შეჯიბრების დღეებში კიდევ უფრო გამოჩნდა. ამგვარი სტუმარმასპინძლობა, მართალი გითხრათ, იშვიათობაა მსოფლიოში. შეჯიბრების მონაწილეები კვირას თავადაც დარწმუნდნენ ამაში, როცა კახეთში „ბადაგონს“ ეწვივნენ.

– დიდი მადლობა გოდერძი ბუკიას, რომელმაც საშუალება მოგვცა, აღმოგვეჩინა ახალი ქვეყანა ნარდის უძველესი ტრადიციებით. ფაქტობრივად, ეს შეჯიბრება არის თანამედროვე და ტრადიციული ნარდის დაახლოების შესანიშნავი ნიმუში. საგულისხმოა ისიც, რომ 15 ქვეყნის წარმომადგენლები საკუთარი თვა-



შეჯიბრება თავის პროგრამაში შეიტანა.

– წლევანდელ ასპარეზობაზე „სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში“ 15 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი, – მითხრა ბატონმა გოდერძი ბუკიამ. – რაც ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტის ამაღლებას შეუწყობს ხელს. საგულისხმოა ისიც, რომ ტურნირის დამატებით საპრიზო ფონდი 39 ათას ევრომდე გაიზარდა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო შეჯიბრების სპონსორებს – შპს „მგ კომპანიას“, ქართული ღვინის კომპანია „ბადაგონს“, „შავი ზღვის ტერმინალს“, კომპანია „საქტურკურორტს“, შპს „გეოატლასტურს“, კომპანია „პროფალის“ საინვესტიციო სამშენებლო ჯგუფს. მომავალშიც მათი თანადგომის იმედი გვექნება.

ლით ნახავენ ამ ლამაზ კუთხეს, შეიგრძნობენ მის მშვენიერებას, პირველწყაროებიდან შეიტყობენ მის ისტორიას და მდიდარი შთაბეჭდილებებით, ზოგიერთი კი გასქელებული ჯიბეებითაც დაბრუნდნენ შინ.

რაც შეეხება ტურნირს, მასში 1994 წელს ამერიკელი მსოფლიო ჩემპიონი მაიკლ სვობოდნი და ნარდის საერთაშორისო კლასიფიკაციის პირველი ათეულის ოთხი წარმომადგენელი – მატვეი ნატანზონი (№1, ისრაელიძ, სანდერ ლილოვი (№4, დანიაძ, ბობ ვახტელი (№9, ამერიკაძ, მორტენ ჰოლანდი (№10, დანიაძ მონაწილეობდნენ. მთავარი ორთაბრძოლები შაბათს დაიწყო და გამარჯვებული, რომელიც დაახლოებით 10 ათას ევროს მიიღებს, დღეს გამოვლინდება.

**ვაჟა დანელია**

## ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**რუსეთი. XVI ტური.** „ლუჩი“ – „რუბინი“ 1:1, „ამკარი“ – „სპარტაკი“ (ნალჩიკიძ 0:0, „ხიმკი“ – „დინამო“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „რუბინი“ – 30, „ამკარი“, „დინამო“ – 28-28 ქულა.

**უკრაინა. III ტური.** „კრივბასი“ – „მეტალურგი“ (დონეცკიძ 1:2, „დინამო“ – „მეტალისტი“ 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მეტალურგი“ (დონეცკიძ – 9, „მეტალისტი“ – 7, „დინამო“ – 6 ქულა.

**ავსტრია. V ტური.** „ზალცბურგი“ – „ლინცი“ 1:0, „რაპიდი“ – „კაფენბერგი- 3:1, „შტურმი“ – „აუსტრია“ 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ზალცბურგი“ – 11, „რაპიდი“ – 10, „აუსტრია“, „ლინცი“ – 9-9 ქულა.

**დანია. III ტური.** „ბრონდბიუ“ – „რანდერსი“ 0:3, „მიდტიულანდი“ – „ჰორსენსი“ 2:1, „ოდენსე“ – „ორჰუსი“ 3:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „რანდერსი“, „მიდტიულანდი“ – 7-7, „ოდენსე“, „ბრონდბიუ“ – 6-6 ქულა.

**შვეიცარია. IV ტური.** „ქსამაქსი“ – „არაუ“ 0:0, „ციურიხი“ – „იანგ ბოიზი“ 2:1, „სიონი“ – „ბაზელი“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „არაუ“ – 10, „ციურიხი“, „ბაზელი“ – 9-9 ქულა.

**ნორვეგია. XVI ტური.** „სტაბეკი“ – „ბოდო გლიმტი“ 4:1, „ვალერენგა“ – „ფრედრიკსტადი“ 1:1, „ტრომსო“ – „რუსენბორგი“ 4:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „სტაბეკი“ – 31, „ფრედერიკსტადი“ – 30, ტრომსო“ – 28 ქულა.

**შვედეთი. XVII ტური.** „გიოტებორგი“ – „მალმოი“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „კალმარი“ – 35, „ელფსბორგი“ – 34, „გიოტებორგი“ – 32 ქულა.

**ფინეთი. XV ტური.** „ვაასა“ – „ლახტი“ 0:1, „ჰონკა“ – „იარო“ 3:1, „კოპიო“ – „ჰაკა“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“, „ლახტი“ – 28-28, „ჰონკა“, „ჰაკა“ – 27-27 ქულა.

**საფრანგეთის სუპერთასი.** „ბორდო“ – „ლიონი“ 0:0 (პენალტებით – 5:4ძ.

**რუსეთის რკინიგზის თასის გათამაშება.**

**მატჩი III ადგილისთვის.** „ჩელსი“ – „მილანი“ 5:0. ფინალი. „სევილია“ – „ლოკომოტივი“ 3:0.



რკინიგზელთა ქართველმა ლეგიონერმა დავით მუჯირმა პენალტი ვერ გაიტანა.

## მხარე

**საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში ზუგდიდი უმაღლეს ლიგაში ორი გუნდითაა წარმოდგენილი: „მგლები“, პირველ ლიგაში კი – „ბაია“. მაშინ, როდესაც ფინანსური კრიზისის გამო ცნობილი საფეხბურთო კლუბები ჩემპიონატს ეთიშებიან, ზუგდიდისთვის ორი კლუბის ყოლა სერიოზულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ამიტომაც დღის წესრიგში დადგა ამ ორი კლუბის გაერთიანების საკითხი.**



„მგლების“ მეპატრონეა ყოფილი პარლამენტარი ლაშა დარასელია, ხოლო „ბაიასი“ – ბიზნესმენი ზვიად სიჭინავა. იყო მოლაპარაკებები გაერთიანების შესახებ, მაგრამ საბო-

# „მგლები“ და „ბაია“ – ერთად თუ ცალ-ცალკე?

ლოო შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და ეს კლუბებიც ცალ-ცალკე აგრძელებენ არსებობას. ვინაიდან ფინანსურად „ბაია“ უფრო მდიდარი კლუბია, „მგლების“ 8 წამყვანი ფეხბურთელი „ბაიაში“ გადავიდა. სწორედ ფინანსური პრობლემების გამო სათუო იყო „მგლების“ მონაწილეობა ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატში, მაგრამ ამ კლუბს გვერდით დაუდგა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია და მისი ძალისხმევითა და დაფინანსებით „მგლებმა“ შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში. გუნდის საპატიო პრეზიდენტი გოროზია გახდა.

როგორც „მგლების“ პრეს-ატაშემ გელა ნაჭყებიამ განაცხადა, ამ კლუბს შეუერთდნენ გუნდებს მიღმა დარჩენილი ფეხბურთელები. არის ერთი სიახლეც – „მგლებს“ შეეცვლება სახელი და დაერქმევა „ზუგდიდი – 2005“.

დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის“ თასის გათამაშებაში წილისყრამ სწორედ ეს ორი ზუგდიდური კლუბი შეახვედრა ერთმანეთს. პირველი ლიგის დებიუტანტებმა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების, ამჟამად კი „ბაიას“ მწვრთნელის ჰერბერტ ცანკერის აღზრდილებმა გამანადგურებელი ანგარიშით 5:1 დაამარცხეს უმაღლესი ლიგის ბინადარი „მგლები“. მიუხედავად ამისა, იმედიანადაა „მგლების“ პრეზიდენტი ლაშა დარასელია, მისი განცხადებით, ერთი კვირის წინ შეკრებილი გუნდი უკეთესად ვერც ითამაშებდაო.

ამ შეხვედრამ კიდევ უფრო მოამწიფა აზრი ამ ორი კლუბის გაერთიანების შესახებ, თანაც ზაზა გოროზიას დღედღეზე უპირებენ გუბერნატორის თანამდებობიდან განთავისუფლებას. ასევე გაერთიანების დიდი სურვილი გააჩნიათ ზუგდიდელ გულშემატკივრებს, ამიტომაც მოუწოდებენ კლუბების მეპატრონეებს, მიაღწიონ შეთანხმებას და ზუგდიდში იხილონ ერთი ძლიერი საფეხბურთო კლუბი.

**ლადო ქირია**
**ზუგდიდი**

## ინტერნეტიდან

### უნგრული პარადოქსი




**ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის უნგრული ეტაპი მაინც და მაინც დიდი მოწონებით არ სარგებლობს მის მონაწილეთა შორის – რბოლის მთელი მადლი ხომ პილოტების ორთაბრძოლაში, გადასწრება, წინ გაჭრაშია, რაც ამ ტრასაზე თითქმის შეუძლებელია, თუკი ერთხელ წინ გაიჭერი, თანაც ჭკვიანურად მოიქეცი, გამარჯვება თითქმის ხელთა გაქვს.**

ასე იყო ახლანდელ „უნგრეთის გრან-პრის“ გათამაშებაზეც. კვალიფიკაციებზე მოპოვებული წარმატებებით სტარტის პირველ ხაზზე „მაკლარენ მერსედესის“ პილოტები ჰემილტონი და კოვალაინენი აღმოჩნდნენ. მათ უკვე ტრასაზე ფერარელმა მასამ გადაასწრო. თუმცა ბოლოს ის ბრძოლას გამოეთიშა.

ჰემილტონის წლევანდელი მესამე გამარჯვებისათვის თითქმის ყველაფერი მზად იყო. მაგრამ მას 41-ე წრეზე წინა საბურავი დაეშვა, თუმცა მაინც მოახერხა ბრძოლის გაგრძელება.

ყოველივე ამით კარგად ისარგებლა ჰემილტონის თანაგუნდელმა ხეიკი კოვალაინენმა და პირველი მივიდა ფინიშთან. მეორე „ტოიოტას“ გერმანელი პილოტი ტომი გლოკი იყო, მესამე – „ფერარის“ ფინელი მრბოლი კიმი რაიკონენი. ჰემილტონი კი მეხუთე აღმოჩნდა.

ახლა 62 ქულით ლიდერობს ჰემილტონი, 57 ქულით მეორეა რაიკონენი, ხოლო მესამე – მასა – 54 ქულა.

კონსტრუქტორთა თასზე წინ „ფერარია“ – 111 ქულა, მეორე კი „მაკლარენია“ – 100 ქულა.

### ცნობილი სუპერმოდელების გზით

**ალბათ დაკვირვებულხართ, საყოველთაოდ ცნობილი სუპერმოდელების უმრავლესობა ან სპორტსმენის ცოლია ან საყვარელი. სწორედ მათი გზით სიარული გადაწყვიტა პოპულარულმა ამერიკელმა მომღერალმა ქალმა ჯესიკა სიმპსონმა. აღსანიშნავია, რომ ჩრდილო ამერიკაში ყველაზე შესაშურ საქმროებად ითვლებიან ბეისბოლისტები, კალათბურთელები, ან კიდევ ამერიკულ ფეხბურთის მოთამაშენი.**

კარგა ხანია, ჯესიკას საზოგადოებაში ხედავენ კალათბურთის გუნდის „დალას კოვბოიზის“ მოთამაშის ტონი რომოსთან ერთად. როგორც ამბობენ, ეს ურთიერთობა ქორწილით დამთავრდებაო. „მე მომწონდა ბევრი ბიჭი, ვისთანაც ურთიერთობას ვაპირებდი, – უთხრა ჯესიკამ ჟურნალისტებს, – მაგრამ ისინი ურთიერთობის დამყარებას სხვადასხვა გზით ცდილობდნენ, ტონის კი ჩემი ესმის. ის აფასებს ჩემს ტალანტს“.



უნდა ითქვას, რომ ეს ჯესიკა სიმპსონის პირველი სერიოზული რომანია ყოფილ ქმართან, თავადაც პოპ-შემსრულებლის ნიკო ლაშესთან გაყრის შემდეგ.

საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!

# ჯიმი პაპას ცრემლები



**ამ შუა ზაფხულში თბილისის ზღვას დიდ-პატარა ისედაც არ აკლია და კვირას აქ გამართულმა უჩვეულო ასპარეზობამ ხალხი ძალუმად მიიზიდა.** განა ხუმრობა საქმე იყო – 11 წლის ჯიმი ბროძელს, რომელმაც „ლაგუნა-ვერეზე“ ისწავლა ცურვა და მწვრთნელი გია ბაბუნაშვილის ხელმძღვანელობით დაოსტატდა, „ხელფეხშეკრული კოლხურით“ უნდა გადაეცურა თბილისის ზღვა. ეს იყო ერთგვარი გენერალური რეპეტიცია ნორჩი მოცურავისა, რომელმაც 30 აგვისტოს დარდანელის სრუტე უნდა გადაცუროს. და, მართლაც, ჯიმი ბროძელმა ხალხის ყიჟინისა და მხარდაჭერის ფონზე, 1 საათს, 50 წუთსა და 47 წამში ხელფეხშეკრულმა გადაცურა თბილისის ზღვის 7-კილომეტრიანი მონაკვეთი.





გადაცურვას ესწრებოდნენ უცხოელი დამკვირვებლებიც, რომლებმაც „საგინესოდ“ მოსამზადებელ ოქმებში შეიტანეს ნორჩი მოცურავის განსაცვიფრებელი შედეგი. სიხარულს ვერ ფარავდა ჯიმი ბროძელის მწვრთნელი, „ხელფეხშეკრული კოლხურის“ მრავალგზის რეკორდსმენი, ბატონი ჰენრი კუპრაშვილი, სიხარულის ცრემლებს ვერ მალავდა პაპა ჯიმი ბროძელისა, შესანიშნავი თბილისელი კაცი ჯიმი ბროძელი.

არ მოგკლებოდეს, საქართველოვ, ასეთი ბიჭები!

წინ დარდანელია!

**ვილენ მარდალეიშვილი**

ოლიმპიზმი

# რომის პაპმა დალოცა



**მთელი მსოფლიოს სპორტსმენებს პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებები უსურვა რომის პაპმა ბენედიქტ მეთექვსმეტემ.**

„ოლიმპიადები მსოფლიო საზოგადოებისთვის წარმოადგენს სრულიად სხვადასხვა ხალხთა შორის მათი საერთო ღირსებების პატივისცემის სულისკვეთებით თანაცხოვრების უტყუარი მაგალითია“, – განაცხადა პონტიფიკმა ალპურ ქალაქ ბესანონეში, სადაც ის თავის საზაფხულო შვებულებას ატარებს, საკვირაო ქადაგებაში, – დაე, სპორტი კვლავ გახდეს ხალხთა შორის ძმობისა და მშვიდობის სიმბოლო!“

პაპის ქადაგებას ისმენდნენ ქალაქის მთავარ მოედანზე იტალიის სხვადასხვა ქალაქიდან და მეზობელი ავსტრიიდან ჩამოსული ათასობით მომლოცველი, აგრეთვე ვატიკანის მაღალი იერარქიის წარმომადგენლები.

ინფორმაცია

## ვალს გადაიხდის და გაუშვებენ

საქართველოს მოქალაქეს, ელშან ეიუპოვს, რომელსაც კრასნოდარის ოლქში მცხოვრები ქალბატონის 300 ათასი რუსული რუბლი მართებს, რუსეთის დატოვება მანამდე აუკრძალეს, ვიდრე ვალს არ დაფარავს, – ამ ინფორმაციას ოლქის ფედერალური სასამართლოს პრესსამსახური ავრცელებს.

2003 წელს, ქალაქ აჩინის სასამართლომ, ოლქში მცხოვრები ქალბატონის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება – მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მან 300 ათასი რუბლი უნდა მიიღოს. ეს თანხა საქართველოში, სოფელ ხიდისყურში მცხოვრებმა ელშან ეიუპოვმა უნდა გადაიხადოს. ეიუპოვი ბრალდებულია კრასნოდარელი ქალის დედის მკვლელობაში.

საქართველოს მოქალაქე კოლონიიდან პირობითად გაათავისუფლეს, რის შემდეგ ის პირობითი გათავისუფლების ინსპექციაში უნდა გამოცხადებულიყო, თუმცა ეიუპოვი აღნიშნულ ადგილას არ მივიდა და ქალაქ ტვერში გაემგზავრა, სადაც საქართველოს საკონსულოს რესპუბლიკაში დაბრუნების ნებართვისათვის მიმართა. ტვერის ოლქის პირობითად გათავისუფლების სამსახურის თანამშრომლებმა კი შესაბამისი მოთხოვნა კრასნოდარის ოლქის სამსახურში გაგზავნეს.

ამ დროისთვის სასამართლოს გამოტანილი აქვს განაჩენი, რომლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს ვალის დაფარვამდე ქვეყნიდან გასვლა ეკრძალება.

ჯი-ეიჩ-ენი

## ოქრუაშვილის თანაპარტიელს კანონიერ ქურდობას აბრალებენ

ქუთაისში „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ წევრები თანაპარტიელი გიორგი ამირანაშვილის გათავისუფლებას ითხოვენ.

ამირანაშვილი 2007 წლის ნოემბრის მოვლენების დროს ქუთაისში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში აიყვანეს. მას ქურდულ სამყაროსთან დაახლოება და წევრობა ედება ბრალად.

– სინამდვილეში ის პოლიტპატიმარია, რადგან ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის ხელმძღვანელი იყო ქუთაისში, – განაცხადა განსასჯელის ადვოკატმა თენგიზ ასლანიკაშვილმა.

საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ ამირანაშვილი ხშირად რეკავდა რუსთავის ციხეში ე.წ. შავი სამყაროს წევრებთან და ქურდულ გარჩევებში მონაწილეობდა.

ინტერპრესნიუსი

ნეტავი ჩემი იყოს!

კომფორტის მოყვარულთა საყურადღებოდ!



სასოფლო უნივერსიტეტის სიახლოვეს, პრესტიჟულ ქოშიგორაზე იყიდება მრავალი სახეობის ხეხილით, ვერცხლისფერი ნაძვებით, ტალავრებით განაშენიანებული ელიტური აგარაკი, 1700 კვმ მიწის ნაკვეთი, 250 კვმ ფართის უცხოვრებელი 2 სახლი (5 საძინებელი ოთახი, 3 სასადილო, 3 სამზარეულო კედლის კარადებით, 3 ბუხარი, 4 სველი წერტილი, 2 კეთილმოწყობილი აბაზანა, 6 აივანი, ყველაფერი ჟალუზებში), კეთილმოწყობილი საუნა, საწყობები, კაპიტალური ავტოფარეხი, ფანჩატური მაგიდა-სკამებით, მუდმივი ელდენი, ნატახტარის წყალი, გამაცხელებლები, სარწყავი სისტემა, კანალიზაცია, სახლამდე მისასვლელი გზა (ტრასიდან 500 მეტრშიძ ახლახან მოასფალტდა. ფასი შეთანხმებით.

899 93-01-04; 23-37-37 რეზო. 36.50.33 მაია.

ყოფა

## კარდენახელებს უცნაური ცხოველი შეეჩვია

გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში მცხოვრებ შვიდ ადამიანს ჯერჯერობით დაუდგენელი ცხოველის მიერ სხეულის სხვადასხვა ადგილზე მიყენებული ჭრილობები აღენიშნება.

შვიდივე მათგანი სოფლის სხვადასხვა უბანში ცხოვრობს და ზაფხულის სიცხის გამო სახლის აივანზე ეძინათ. სახეზე, ხელებსა და შუბლზე ბრჭყალებით მიყენებული სისხლიანი ნაკაწრები მათ მხოლოდ გაღვიძების შემდეგ შენიშნეს.

დაშავებულებს გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოში ცოფის საწინააღმდეგო აცრები ჩაუტარდათ.

მამაკაცები სოფელში მორიგეობას აპირებენ.

ჯი-ეიჩ-ენი

## სამხედრო ბაზასთან გზის გადაკეტვით იმუქრებიან

გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისის, კერძოდ, მთის ძირის დასახლების მცხოვრებლები ადგილობრივი ხელისუფლებისგან სასმელი წყლის პრობლემის გადაჭრას კატეგორიულად მოითხოვენ.

ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, სოფელ კრწანისს წყალი მხოლოდ დღეში სამი საათით მიეწოდება, თუმცა დასახლებამდე ვერ აღწევს.

მოსახლეობამ ქვემო ქართლის ადმინისტრაციას მიმართა. მცხოვრებლები პრობლემის გადაჭრას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში საპროტესტო აქციებითა და კრწანისის სამხედრო ბაზასთან გზის გადაკეტვით იმუქრებიან.

ინტერპრესნიუსი

შპს „ბონდის“ თანამშრომლები გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ საზოგადოების თანამშრომელს ვლადიმერ სირაძეს მამის

სერგო სირაძის

გარდაცვალების გამო.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

კრიმინალი

# შვილის მოკვლას ცდილობდა

საქართველოს შს სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1959 წელს დაბადებული ნუგზარ გორგაძე დააკავეს. იგი მკვლელობის მცდელობაშია ეჭვმიტანილი.

სამინისტროს ცნობით, გორგაძემ ცივი იარაღის გამოყენებით მძიმე ჭრილობა მიაყენა საკუთარ შვილს, 23 წლის თემურ გორგაძეს. დაკავებულმა აღიარა დანაშაული.

ინტერპრესნიუსი

## ინფორმაცია

### რა ელანდება მინძაევს?

**ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების შს მინისტრი მიხეილ მინძაევი აცხადებს, რომ ქართული პოზიციებიდან სნაიპერული ცეცხლი იყო გახსნილი.**

მისივე ინფორმაციით, სნაიპერი 23 საათიდან მთელი ღამის განმავლობაში ცხინვალის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ისროდა.

მინძაევის განცხადებით, მსხვერპლი არ არის და ოსურ მხარეს საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნია.

ქართული მხარე სეპარატისტების ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.

* * *

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის შს მინისტრი მიხეილ მინძაევი აცხადებს, რომ ქართული მხრიდან ცხინვალის განმეორებით დაცხრილვის შემთხვევაში ოსური მხარე საპასუხო ცეცხლს გახსნის და ქართველების საცეცხლე წერტილებს ჩაახშობს.**

მისივე თქმით, საქართველო კვლავაც აგრძელებს კონფლიქტის ზონაში პოზიციების გამაგრებასა და სამხედროების საბრძოლო მასალებით მომარაგებას. კოკოითის მინისტრი რუსულ მედიასთან საუბარში ასევე აცხადებს, რომ თბილისის მიერ განხორციელებული ქმედებები კონფლიქტის ზონაში აშკარად მიუთითებს იმას, რომ იგი არავითარი მოლაპარაკებების გამართვას არ აპირებს.



### მხოლოდ ძველი ფორმატით!

**4 აგვისტოს, ცხინვალი დაახლოებით 800 ადამიანმა დატოვა და ჩრდილოეთ ოსეთისკენ გაემგზავრა. აღნიშნულ ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.**



უკვე 12 ავტობუსი გავამგზავრეთ ცხინვალიდან. ამჟამად გამზადებული გვაქვს კიდევ ორი „იკარუსის“ ტიპის ავტომობილი, რომლითაც ჩრდილოეთ ოსეთში გასავლამდე ცოტა ხნით ჯავის რაიონში გაჩერდებიან, – აცხადებს შსკ-ის სამხრეთოსური მხარის თანათავმჯდომარე ბორის ჩოჩიევი.

მისივე ინფორმაციით, ცოტა ხნის წინათ სამხრეთ ოსეთიდან დაახლოებით 600 ბავშვი უკვე გაყვანილია და ეს პროცესი ეტაპობრივად გრძელდება.

ჩოჩიევი საქართველოსთან მოლაპარაკებათა პროცესის განახლებაზე საუბრისას აცხადებს, რომ მოლაპარაკებათა პროცესის გაგრძელება მხოლოდ და მხოლოდ არსებულ ოთხმხრივ ფორმატში შეიძლება.

### ცხინვალი უწყლოდ დარჩა?

**სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტი ცხინვალის ე.წ. მერზე რობერტ გულიევზე დაყრდნობით აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთის მონიტორინგის ჯგუფმა საქართველოს მიერ კონტროლირებად ედისი-ცხინვალის წყალსადენის თამარაშენი-კეხვის მონაკვეთზე 61 უკანონო ჭრა-დაზიანება აღმოაჩინა.**

თუკი აქამდე ცხინვალში ამ უკანონო გაჭრების გამო სასმელი წყლის 25 % მაინც მოდიოდა, ამჟამად უკვე წყლის ეს რაოდენობაც მილებში იკარგება და ცხინვალამდე არაფერი არ მოდის, – აცხადებს გულიევი.

მისივე ინფორმაციით, ცხინვალის მოსახლეობას ამჟამად წყალს სასმელი ცისტერნებით არიგებენ.

ჩრდილო ოსეთიდან დამატებით წყლის სატარებელი სამი მანქანა გამოგვიგზავნეს. თუმცა პრობლემა ამ გზით მაინც არ გადაწყდება. აუცილებელია წყალსადენზე შესაბამისი სამუშაოების ჩატარება იმისათვის, რათა ქალაქის წყალმომარაგება ჩვეულ რეჟიმში აღდგეს, – აცხადებს გულიევი.

**ჯი-ეიჩ-ენი და ინტერპრესნიუსი**

## ქირავდება ან იყიდება

კომერციული ფართი – 100 კვ. მ. ნავთლუღის ბაზრის პირდაპირ. ამჟამად ფუნქციონირებს სრულყოფილი აფთიაქი. დაგვირეკეთ: 70.70.95 (დღისით, 20 სთ-მდე), 91-24-91 (საღამოსძ, – 899-37.00.35; იკითხეთ მანანა.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## განცხადება

### ვიმოძრაოთ კანონის თანახმად



**ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით, საავტომობილო გზებზე მკვეთრად იზრდება ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობა. ამასთან, გზების საფარის გაუმჯობესების პირობებში, იმატა გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობის ფაქტებმაც, რაც ზრდის ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რისკს.**

**საავტომობილო გზების დეპარტამენტი მძღოლებს შეახსენებს, რომ საქართველოს საავტომობილო გზებზე „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მსუბუქი ავტომობილებისთვის დასაშვებია მაქსიმალური სიჩქარე 110 კმ/სთ-ში, ხოლო სამგზავრო და სატვირთო ავტოტრანსპორტისათვის 90 კმ/სთ-ში.**

**გთხოვთ, დაიცვათ აღნიშნული მოთხოვნები! ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ!**

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

## ანეკდოტები

– რატომ ატარებენ მამაკაცები მაქს პიჯაკებს?

– რათა დამალონ მინიქვედაბოლოებით გამოწვეული აღტაცება.

* * *

– რატომ ხდება, რომ როდესაც გოგო ბიჭს ეკითხება, მოგწონვარ თუ არაო, და დადებით პასუხს მიიღებს, თვალებს მაშინვე ძირს ხრის ხოლმე?

– არ გაგიგიათ, ენდე, მაგრამ შეამოწმეო?

* * *

– როდის დაიწყება მსოფლიო შიმშილი?

– როდესაც ჩინელები ჩანგლებით დაიწყებენ ჭამას.



* * *

– რატომ არის მამალი მუდამ კარგ ხასიათზე?

– იმიტომ, რომ უამრავი ცოლი ჰყავს და არც ერთი სიდედრი.

* * *

– ძვირფასო, სულ მალე ძალიან გაგაბედნიერებ, – ეუბნება ცოლი ქმარს.

– ძალიან დამაკლდები, საყვარელო!

* * *

– რამდენი დალიე გუშინ?

– ასი გრამი.

– ასი გრამი რა?

– ტროტილის ეკვივალენტი...

* * *

ნამდვილი პოლიტიკოსი გახლავთ ის, ვისაც არ სჯერა იმისა, რასაც თავად ლაპარაკობს.

* * *

– ასეთი წიგნი თუ გაქვთ – „როგორ გახდეთ მილიონერი ერთ კვირაში“?

– გვაქვს, ოღონდ „სისხლის სამართლის კოდექსთან“ ერთად იყიდება...

* * *

ძველ სპარტაში მახინჯ ბიჭებს კლდიდან აგდებდნენ. გადმოგდებულებიდან ზოგიერთი გადარჩებოდა ხოლმე და მახინჯი გოგოების გადაგდებას მოითხოვდა...

## კარიკატურისტის თვალით



წყალი პატარისაა.

ამირან ერაძის ნახატი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

პასუხისმგებელი რედაქტორი
რუსლან რუსია
899 17-21-21

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.